

၂ ၁၇၉

ပြည်နယ်ရုံး အမြန်လုပ် ပုဂ္ဂိုလ်

ပြည်နယ်ရုံး အမြန်လုပ် ပုဂ္ဂိုလ်

မြန်မာ ရန်တော်

၃၄

ရွှေချောင်း စီမံခိုင်

ပြည်နယ်ရုံး အမြန်လုပ် ပုဂ္ဂိုလ်

မြန်မာ ရန်တော် ရန်တော်

၁၀၀	၂၀၀	၃၀၀
-----	-----	-----

၁၁၀
၁၂၀
၁၃၀



თ. ბათუმის ამინისტრის განცხურა


053. 5192
83

ქართველ მოსწოდელთა ჩატარებული № 2

899, 962, 1109)

შემოგვი ერისთავი

541-8



179.

დ 5

კურიოსალი




ინდოეთულ-ლაცურაცეურული მონაცემები

ი. ი. ფერსალის ინდოეთულ-ლაცურაცეურული
ცენტრ მიმღება

053
83
179.

1+3



1919

ბ. ფერსალის და ამს. ს. 22
ჭუთაიშვილი.

0026620280

გიორგი ერისთავი და ქართული თეატრი*

“

„ოდეს სახელი, ღიღი ოჯახი
და ძველთა ძველი წესწყობილება
განკქრა, განქარდა შეუმჩნეველად,
მაშინ ამისმა ჩანგმა მტრიალმა...
ჩამქრალ კერაში ჩვენი ცხოვრების
კვლავსასიცოცხლო ცეცილი ჩაჰკვესა,
დაგვიდგა სარკე ხელუხლებელი,
შიგ დაგვანახა ჩვენი ცხოვრება,
იტირა, მოთქვა სულით დაცემა.
გადმოანთხია თვალთ მდუღარება;
ენა მდიდარი, შეფერხებული,
კვლავ განაღვიძა, აღაყავილა,
მითვლემილ გრძნობას ეროვნებისას
მან გაუთენა სანატრი დილა!“

გრ. აბაშიძე

I

პოლიტიკური თავისუფლების დაკარგვის შემდეგ ქართველ ერს ერთი საუნჯელაშვირჩა. ეს საუნჯე ქნაა, მშობლიური ქნა, რომლის დაცვა და გამდიდრება მის ასევე ბითს მოვალეობას შეადგენს...

ქართული ენის დაცვა და განვითარება შეიძლება მომზადარიყო თხი სახსრის მეოხებით. პირველი სახსარი იყო

*) ჩვენი ისტორიულ-ლიტერატურული მონოგრაფია გიორგი ერისთავის შესახებ დაიბეჭდა უურნალ „განათლება“-ში (1916 წ.)

— სწავლა-განათლება, მეორე -- თეატრი, მესამე — მუზეუმი... და და მეორე -- ეკლესია... ას თოხი, სახსარი, რომელი მეობებით ქართული ენა შეიძნდა მაცუცხლებელ ძალებს.

თეატრი ადამიანს ანიჭებს არა თუ მხოლოდ სიამოვნებას, რომლის წყურვილი შის ბუნებაში ღრმადაა. ჩანტრი-გილი, ასამედ წვრთნის მას ზნეობრივად, ულეიძებს სრულის მიძართ სიყვარულს და აძლევბს. ცხოვრების დასაგრიბ მხარეებს. ამის მეოხებით ადამიანი ზნეობით ფაქტდება, შეუმნიერებლად კეთილშობილდება; უმჯობესდება. თეატრი საუკეთესო საშუალებაა სხვადასხვა იდეის და კომენტის გასავრცულებლად ხალხის მასაში... ასეთი დიდი მნიშვნელობა თეატრისა საქართველოში აღრე შეიგნეს, მაგრამ ქართული თეატრი, როგორც კულტურული დაწესებულება, მაინც არ არსებობდა... მის მამამთავრად ჩვენში შეიქმნა ვიორგი ერისთავი, რომელიც-მეცხრამეტე საუკუნის მეორმაცე წლებში თვისი. ცოდნით და მიმართულებით საქმიანდ მაღლა იდგა.

გიორგი ერისთავი მაშინდელი დაცუმული ქართველი სახოგადოების გამოსაფხიზებლად თეატრს საუკეთესო საშუალებად სოვლიდა და უცდიდა შესაფერ დროს თვისი სურვილის განსახორციელებლად. მისი სურვილი კი იყო ქართველ ერს პქნებოდა მშაბდლიური თეატრი... მაგრამ მარტო მას სხვის დაუხმარებლად არა შეეძლო-რა... მის დამხმარედ გამოვიდა მეფის ნაცვალი თავადი მიხეილ სვემონის ძე კორონცუვი, რომელმაც ბრძანა:

„ნაწამ ხალხისა სიტყვიერება

უნდა აღსდგეს;

გახსნა სალარი კეთილ საქმისთვის.

უხეად მოგვფინა ოქრო და უერცხლი,

გრძნობრს სიმებზე ხელი ჩამოგვყრა

და დაკარგული აღგვინთო ცეტლი...
 ტებილის ალექსანდრ, ბრძნელის სირკეებით.
 ვონიერ რჩევით მოგვხიბლა ყველა.
 და იმედვბი ალორძებნების
 გულს ჩაგვისახა, ვით ცისტულა ”

II

თავადი გიორგი დავითის ძე ერისთავი ქანის ერის-
 თავთა ჩამომავალი იყო. ის დაიბადა 1811 წელს. სანამ
 ათი წლის არ გახდა, მშობელთა სახლს არ მოშენრებია.
 დედა მისი იყო ქობულაშვილის ასული. ლვის მრყვარე.
 წყნარი და კეთილი ადამიანი. ახალგაზრდა გიორგი ბავ-
 შობაშივე სოფლის ცხოვრებას და მისს აქსა და კარგს
 აკვირდებოდა. გიორგიმ დედისაგან შეისწავლა წერა-კით-
 ხვა... საზოგადოდ დედამ მშობლიურის ენის სიყვარული
 ჩაუნერგა, ვინაიდგან დედა მისი თავის დროს მცოდნე
 ქალი იყო: საღვთო წერილი და ქართული საუკეთესო
 მაჟინდელი სალიტერატურო ნაწარმოებნი ზედმიწევნით
 იცოდა: გიორგი ჯერ კიდევ თორმეტი წლისა იყო, რო-
 დესაც კეთილშობილთა სასწავლებელში სწავლობდა და
 ლექსებს სწერდა. სასწავლებლის მეხუთე კლასში რომ
 გადავიდა, გიორგი მოსკოვში დაიბარა მისმა ბიძამ ვარ-
 ლაამ მიტროპოლიტმა, რამდენიც 1811 წელს საქართვე-
 ლოს პირველ ექსარხოსად იქმნა დანიშნული და 1817 წ.
 ვაწვეულ იქმნა რუსეთში მის: აღგილზე მეორე ექსარხო-
 სის, რუსის თეოფილაქტეს დანიშნების შემდეგ. აქ 1825 წ.
 თვისი ძმისწული მიაბარა კერძო პანსიონში: მასთანვე ერ-
 თად მიაბარა მისი ბიძაშვილი ესტატე. ახალგაზრდა ქართ-
 ველებმა ვერ აიტანეს მოსკოვის მკაფრი ჰავა, რის გამო

ავადმყოფობა დაიწყეს. ამ გარემოებამ ვარლაამი იძულებული ჰყო თავისი ნათესავები გიორგი და ესტატე 1828 წ. საქართველოშივე დაებრუნებინა... ამავე დროს საქართველოში დაბრუნდენ ქართველი ახალგაზრდები, რომელთაც თან ჩამოიტანეს კოდნასთან ერთად ქართული მწერლობის მხურვალე სიყვარული, გაღვივებული მათში რუსეთში მყოფ ქართველი ბატონიშვილების ზედ-გავლენით... მათთან ერთად ადგილობრივ კეთილშობილთა სასწავლებელში კურს დამთავრებულმა ქართველ ახალგაზრდებმა დააარსეს ქალ. თფილისში ქართული მწერლობის მოქარეთა წრე, რომელსაც დაებადა ქართული უურნალის დაარსების აზრი. ამ წრის წევრთა შორის ერთი უპირველესი ადგილ-თავანი გიორგი დავითის ძეს ერისთავს ეჭირა... მალე გიორგი ერისთავი შევიდა. სამსახურში თფილისის გუბერნატორის კანცელარიაში და შემდეგ მთავარ-მართებელ ბარონ როზენთან გადავიდა მოხელედ... ის იმ დროს ცოვრობდა, როდესაც ხშირად ქართველთა ეროვნული გრძნობა შეურაცხოფილი რჩებოდა... თვით გიორგი ერის-თავშა განიცადა თავზე ეროვნული გრძნობის შეურაცხოფა.

1828 წელს გიორგი ერისთავი, ქართულს ტანისა-მოსში გამოწყობილი, პოლიციელებმა პოეტის აღ. გრი-ბოედოვის ქორწილზე არ შეჭრეს, რადგან ქართული ტინისამოსი ეცვა*... ამ ერთის შეხედვით, უბრალო შემთხვევამ მომავალი პოეტ-დრამატურგის ეროვნული გრძნობა მეტად გაამახვილა... როგორც ვიტო, 1832 წლის რუსთა წინააღმდეგ შეთქმულობაში გიორგი ერისთავს დრ-

*) გრიბოედოვმა ცოდნად შეირთო პოეტის აღ. ჭავჭავაძის უამშვერესესი ასწლი ნინო.

ი უპირველესი ადგილთაგანი ეჭირა... ამ შეთქმულობა-
რ მონაწილეობისათვის გიორგი ერისთავი ჯერ მეტების
პყრობილები იჯდა და შემდევ პოლონეთს გაგზავნეს.
ალგაზრდა, სიცოცხლით და ენერგიით საკუთ პოეტი მო-
ვდა ისეთს მხარეში, ორმელსაც მიცევიჩის საუცხოვო
ა უკვდავი ქნარი შეამკობდა... სასჯელის ადგილი მის-
ვის საუკეთესო სკოლად შეიქმნა... უკველივე, რასაც
ა პოეტი ხედავდა ან ისმენდა, ზრდიდა მის გულში იმ
ურვილებს, რომლითაც სამშობლოშივე გამსკვალული
იო. ვილნოს უნივერსიტეტში ის თავისუფლად დადიო-
ა... შეისწავლა პოლონური ენა და პოეტის მიცევიჩის
წარმოებთაგან რამდენიმე ლექსიც გადმოთარგმნა ქარ-
ულ ენაზე... უცხოეთში მყოფი ხშირად თავისს სამშობ-
ოს და მის მდინარეს' მტკვარს იგონებდა, რაც ერთს
ვის ლექსთაგანში გამოსთქვა:

„არ ძალმიძს დავივიწყო მხარე. მშობელი,
და სიხარულად მიმაჩნია ვიტირო მისოვის,
სად დავიბადე, ალვიზარდე, სად ვიყავ ჩჩერლი,
სად სიჭაბუკის განვატარნე დღენი ნეტარნი,
სადა მსუროდა მომეწყვიტა ტრფობის ყვავილი.

გლოხ, მის მხარისთვის მეფრქვევიან ცრემლნი მდუღარნი!..

1838 წლის 25 აგვისტოს გიორგი ერისთავი სამ-
ბალოში დაბრუნდა და რამდენსამე ხანს სოფელში ცხოვ-
იბდა. აქ მან დაიწყო ლექსებისა და პისების წერა. მისი
წარმოებნი ხელთნაწერებისა საშუალებით ვრცელდებოდა
ზოველთა შორის, რომელნიც მის სახელსა და დაწყე-
ლ მოღვაწეობას დიდად თანაუგრძნობდენ. განსაკუთ-
ბით დიდი გავლენა ქართულის მწერლობის აღორძინე-
რ, საქმეზე იმ უამად პქონდა სამს ოჯახს: ალ. კავკა-
ას და მანანა და მამუკა ორბელიანებისას... ჩვეულებ-

რევ მათს ოჯახებში იკრიბებოდა ქართველი ახალგაზრდობა და კითხულობდა სხვადასხვა ნაწერსა... ეს ის წრეა რომლის შესახებ ნიკ. ბარათაშვილი ერთ-ერთს თავის წერილში დიდი სიამოვნებით მოიხსენიებს... ამას გარდა მა უნდა პირობებმა ხელი შეუწყო. გიორგი ერისთავი დრამატიული ნიჭის განვითარებას. 1844 წელს კავკასიაში ხელმწიფის მოადგილედ დანიშნულ იქმნა გრაფი მახეილ სვიმონის ძე ცოტონცოვი, რომელმაც თავის სახელ უკვდავი ძევლი დაუდგა როგორც კავკასიის, ისე კერძოდ უფრო საქართველოს კულტურულ ისტორიაში.

III

ამიტერ კავკასიის მმართველნი გუდოვიჩი (1806—1809), ტორმასოვი (1809—1811), მარკიზ პაულინი (1811—1812), რტიშევი (1812—1816), ერმოლოვი (1816—1827), პასკევიჩი (1827—1831) ბარ. როხებ (1831—1837), ლენ. გოლოვინი (1841—1842) და ლენიდგარდტი (1842—1844) ვერ გაეცვნენ რიგიანად ქვეყანას და მის მკვიდრთა. ისინი უფრო გართულნი იყვნენ მთის ხალხებთან ბრძოლაში და არც ჰქონდათ სურვილ მათდამი რწმუნებულ ერთა ფსიხოლოგიას, მათს შინაგა მსოფლიოს გაცნობოდენ. არც თუ ნიჭი და ძალა შესწეოდათ საამისოდ.

რუსეთის მთავრობა 1844 წლიდამ მთავარმართებდნ საქართველოს შესახებ გარკვეულ გზას დაადგა. საომარ მდგომარეობა მოისპო. მთავრობამ მოსპო ქართველთა დენა და მმართველთა უსაფუძვლო და ურიგო თავხედობა. ცოტონცოვის ხელმწიფის მოადგილედ დანიშნუნის შემდე-

თავრობის პოლიტიკაშ გარკვეული ჭიმართულება მიიღო. უ წინანდელ მთავარმართებელთა პოლიტიკა ბუნდოვა- იყო ქართველთათვის, ვორონცოვის პოლიტიკა ცხად- ე უცხადესი შეიქმნა მათთვის. ამ მოკლედ მისი შინაარ- ი: „ქართველ ერს უნდა მიეღო უკვე აღსრულებული სტორიული ფაქტი და დამორჩილებოდა ისტორიული ემთხვევას: საქართველო აღარ იყო თავისუფალი სამეფო. ამედ იყო მხარე; რუსეთის გვირგვინოსანთა ქვეშევრ- მოდ. პოლიტიკური თავისუფლების აზრს ქართველი ერი ითქმს უნდა სამუდამოდ გამოიხმაროდა, თავისი ბეჭის ნ, ავი იყო თუ კარგი, ქედი უნდა მოეხარა... საჭირო ო შექმნა ისეთ პირობათა და გარემოებათა სფერისა, იმლის მეოხებით ქართველ ხალხს. თავისუფლების მო- ბრულს, რუსეთის ქვეშევრდომობა სასიმოვნოდ მიეჩ- ა. და ამასთანავე თავისი ეროვნულ-კულტურული გან- თარება საიმედოდ უზრუნველ ეყო. ვორონცოვმა თა- უ პოლიტიკის დედა-აზრად დაიდუა ქართველი საზოგა- რების რუსეთის კულტურასთან მჟიდროდ დაკავშირება ამ კულტურის საშუალებით ქართველების ეკროპის ლტურის გავლენის ქვეშ მოქცევა... ვორონცოვი თვი- , შორსმკვრეტელი და გამჭრიახი გონების მეოხებით ვდა, რომ მხოლოდ ასეთს კულტურულს საშუალებას. მ-ტკბილობას და მამა-შვილებრს დამოკიდებულებას შე- ლია საქართველო რუსეთს დაუკავშიროს როგორც სუ- ერად, ისე გარეგნობით. ამის გამო ენერგიულად სცდა- გძარ, არაეითარს ხარჯს და საშუალებას არ ერიდებო- რომ ქართველი მოწინავე საზოგადოება ევროპიულს კლინიკისთან (მოქალაქობრივობასთან) დაეკავშირე- . ხშირად მართავდა „მეჯლისებს“ (ბალებს), რომელთ

საშუალებით ქართველი საზოგადოება ეცნობოდა ოუსკოსას და ამით მათ შორის სულიერი კავშირი შტკიცდებოდა... უცრნალ-გაზეთების და თეატრის დაარსებით ვო რონცოვს სურდა ევროპის კულტურის შენაძენი საქართველოში ქართველ მკითხველთა შორის გაევრაცელებინა. ქართველი საზოგადოება ვორონცოვის დანიშნვამდის კარისიაში დაყოფილი იყო ნაწილ-ნაწილად. ამ დაქართველობის ხელს უწყობდა ის გარემოება, რომ საქართველოში ვთუ ის ოჯახი ან ერთს რომელსამე ნათესაობას ეყუთვნა და, ან რომელისამე პირადი გრძნობის მეოხებით თავ მსგავსს ოჯახებს უკავშირდებოდა და ან კიდევ ოჯახე აკავშირებდა რომელიმე საზოგადო საერთო ჩვეულება საჭირო იყო, რომ ხალხის დამქააქსველი მიზეზები, რომ მელიც ხელს უშლიდა მის შეკავშირებას ერთი შეგნებლი საზოგადოების სახით, მოსპობილიყო... საჭირო იყო რომ ხალხს იმ ხანად მოეკლა. განუხორციელებელი რი სამშობლოსთვის პოლიტიკური დამოუკიდებლობა დაბრუნებისა და საზოგადოდ „მთევლა წარსულს დროულადი“, გაჰყოლოდა სხვა გზის მაჩვენებელს ვარსკვლა და შეემზადებია პონტიერი ნიადაგი ახალი მომავლისათვი ამისთვის კი საჭირო იყო შევიდობისი შმართველობა ქართველების ისტორიული სიამპარტუაზნის და ტრადიციების ტივისცემასთან მჭიდროდ შეერთებული. ასეთი იყო რონცოვის მმართველობა...“

· მის გამგეობის დროს ცხოვრება დაწყნარდა... საზოგადოება გაერთიანების გზას დაადგა... რუსეთმა საქართველოში ფეხი მოიმაგრა იმის გამო, რომ აღკურვი იყო ევროპის კულტურის ნაყოფებით. მას წინაშე ფხვალი დაჰყარა მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში ძველი

ქართულმა კულტურამ. ვორონცოვის ჯროზე ადრე ქართველ მოწინავე გვამებმა შეიგნეს. ომშ ქართველ, ხალხს იხსნის დაღუპვისაგან ევროპის კულტურის მიღება და შეთვისება, გაევროპიელება, ისე კი ომშ ყოველივე ეს მოხდეს ევროპის ნააზრევის ქართულ ნიადაგზე გადმონერებით...

(გიორგი ერისთავმა შეიგნო რეალი, ნამდვილი საჭიროება ქართველი ერისა და განიმსჭვალა ჩტეიცე გადაწყვეტილებით თვისი სიცოცხლე ამ საჭიროების დაკმაყოფილებისათვის შეეწირა. ამის გამო მოჰკიდა ხელი თეატრის და პრესის დაარსებას ე. ი. ისეთ დაწესებულებათა შექმნას, ურომლისოდ ჩვენს დროში ვერც ერთ ეშვე შეუძლია კულტურული გამოლვიძება და წინსვლა-განვითარება... ამ დიადი საქმის განხორციელებაში ხელი: შეუწყო ხელმწიფის ნაცვალმა ვორონცოვმა. საქართველოში—ალ. ხახანაშვილის სიტყვით—სადაც არც კი იცოდნენ თითქმის სამოქალაქო მოქმედების მნიშვნელობა, აღუდდა ცხოვრება, მიძინებული ძალები გარეშე გამოწვეული ქმნა; ყველამ იგრძნო, რომ აქვს მოთხოვნილება კეთილი საქმის თუ არა, იმისი მაინც, რომ განცხადებით აღნიშნოს რომელიმე კეთილი საქმე: ყოვლის მხრით მოდიოდნენ პროექტები და წინასწარი განძრახვანი. ვორონცოვმა შესცვალა თუთლისის „Приказъ“-ის წესდებულება (ბანკის მსგავსი იყო), დაარსა საექიმო ნაწილის გამგის თანამდებობა,—დამოუკიდებელი სასწავლო ილქი კავკასიაში, დაწესა სტიპენდიები ქართველთათვის უმაღლეს სასწავლებლებში. ხელმწიფის წერილი ავალებდა ვორონცოვს მიექცია ყურადღება შინაური საქმეებისთვის კავკასიაში. უმთავრესი ყურადღება ვორონცოვმა ქართველი

ხალხის ერთს ნაწილს, სახელდობრ თავად-აზნაურობას
 მიაქცია, რომელიც გახდა ეკრანის განათლების მასაში
 ავტორულების იარაღი. მან პოლიტიკურ მოსაზრებათა
 გამო აღიღლობითი თავად-აზნაურობა დააწინაურა და
 პასუხისმგებელი თანამდებობანი ჩააბარა. გაფრცელდა
 თავად-აზნაურობაში. ეკრანიული ჩვეულებანი, რის გამო
 პატრიარქალური ქხოვრების სიმარტივე მოისპო. დაიბადა
 უანური ფუფუნების, უაზრო დროს ჭარავების სურვილი.
 რომლის დასაქმიაყოფილებად დიდიალი ვალი. შეიქმნა
 საკირო. შეურნეობის განვითარება თავად-აზნაურობას არ
 უკეთდნ. უფლის საშოგელად ის იძულებული მეიქმნა მი-
 ეძაროა „პრიეზისთვის“. რომელიც ფულის სესხს იძლევ-
 და. ამ დაწესებულებას უიდალი აღიღლიმული გაუყიდა
 თავად-აზნაურობას. მავრამ ისიც უნდა ვთქვათ. რომ „პრი-
 ეზი“ ხშირად ავატოვებდა ხოლმე შესატან ხედმეტ გადა-
 სახას და აა სხვა ვადის. უნიშნავდა. ამ გარემოებამ ქართ-
 ველი თავად-აზნაურობის ხასიათს სიმტკიცე დაუკარგა:
 „უკრია კალის თავის დროზე შეუტანლობას და ნაშოენ
 უფლის უტრალოდ ფულანევის. ვორონცოვის მოლოდინი,
 რომ აღუძლებ სესხის საშეალებით ვონიცრულ მეურნეო-
 ბას. ზაფან-აზნაურობა ხელს შიძირტდა. გაცრულდა: ვიქ-
 იონის ხომითი ხელში მოექცა, უფრო კი სისხლის მწო-
 დის ჩარჩონის ხელში, რომელთ ტიპი საუცხოვოდ დაგვი-
 სულიო ~~მიმიკის~~ აოდისიანმა ხოლომონ ისაკი მეჯ-
 უანურ შეულის სახით. სომეხთ გაძლიერებას ყოველივე ხელს
 უწყობდა: ოცი. ტრანზიზი. თავად-აზნაურობის ლაქა-
 ლიანება და სავა... ვორონცოვმა დააწესა საკუთარი სა-
 კაკრა სასამართლო, მოსპო. ქართული და თაორული ფუ-
 ლის ხელში... გახსნა სკოლები და საქველმოქმედო და-

შესებულებანი, ხელს უმართავდა მრეწველობის ყოველ
დარგს. მიმოსვლის გზებს აუმჯობესებდა, დააწესდ ცეცხ-
ლის გემის მიმოსვლა მტკვრის შესართავთან და გოგჩის
ტბაზე. ოვითონ თფილისი განახლდა და დაშვენდა ახალ-
ახალი შენობებით. მკიდრნი გამოცოცხლდნენ და იმედებით
აღფრთოვანდნენ. ქვეყანაშ სადღესასწაულო შეხედულება
მიიღო. მეფისნაცვლის მოქმედება უურო ცხრვლად სა-
ქართველოს სულიერ წარმატებას, თეატრის დარსებას და აღ-
გილობრივი შეწყდობის განვითარებაში გამოიხატა. მის დროს
და მისიერ მხერვალე თანაგრძნობის და უხვი ნივთიერი დახ-
არების მეოხედით დაარსდა ქართული იაკონი და პარველი
ქართული უურნალი „ცისკარი“.. ამ ორივე საქმის შეთაუ-
რიდ გიორგი დავითის ძე ერისთავი იყო.

სულიერი

IV

მართულ თეატრს დასაწყისი მეთვრამეტე საუკუნეში
უქვეს. ამ საუკუნეში ქართველთა მოწინავეებს ჰქონდათ
ხშირი მსვლელობა რუსეთში, სადაც თეატრი 1760 წლე-
ბიდამ ფეხი უკვე მოიკიდა. არ შეიძლებოდა ქართველებს
არ განეცადათ რუსთა გავლენა თეატრის საქმეში. ამას
გარდა რომსაც ჰქონდა საქართველოზე კულტურული გავ-
ლენა. ზოგიერთი ქართველები კათოლიკე მისიონერთა
ზედგავლენით მიღიოდნენ რომში სწავლის შესაძენად და
აქ ეცნობოდნენ თეატრალურ საქმეს. ქართული წარმოდ-
გენა პირველად შეფე ერეკლეს დროს გამართულა. ხანდა-
ხან შემდეგში თელივშიც იმართებოდა ქართული წარმოდ-
გენები. მეთვრამეტე საუკუნეში რუსეთში ნასწავლა ახალ-
გაზრდათა შორის იყვნენ დაუით ბატონიშვილი, ჩოლოეა-

შვილი, დავით ავალიშვილი, იოანე ორბელიანი, და სხვანი. ამ პირთ დაუწერიათ და უთარგმნიათ სხვადასხვა პიესები.

1791 წელს დავით ავალიშვილმა დასწერა დრომა „შეკვე თებიშერაზი“ და რუსულიდამ სთარგმნა: „რქის შატარებელი“. უკანასკნელი პიესა წლის განმავლობაში რამდენჯერმე წარმოუდგენიათ... უთარგმნია „დედა რაჭითი ქალისა“ (კომედია), „საჩიხბარი“ (კომ.), „ძგირი და უხვი“ (ორიგინ. პიესა), უთარგმნია „უბნობა შევდართა“ და სხვანი... წარმოდგენას მაშინ „სახის-შეტევებებას“ უწოდებდენ. წარმოდგენაში მონაწილეობას იღებდენ მეფის შვილები და თავადნი... წარმოდგენები უმართავთ 1795 წლამდის, როდესაც სპარსეთის შაჰი აღამაშმად — ხანმა ქართლი ააოხრა. შაჰის შემოსევამ ბოლო მოუღო საქართველოს დამოუკიდებლობას. მან გამოაშვარავა ის დრმა წელულები, რომლითაც მოწამლული იყო საქართველოს სახელმწიფოებრივი სხეული. ამ შემთხვევას თან მოჰყვა ქართლის ბედის გადაწყვეტაც. ამპად დარჩა კაბრიელ შაიორის შესახებ ცნობები. ის ხალხის მანუგე შებელი იყო. მოჰყვეს კრწანისის ბრძოლის ეტა (1795 წ.). გაბრიელ მაიორი შესანიშნავი კომიკოსი იყო. წარმოდგენებზე დასასწრებლად ბილეთებიც არსებობდა. ჩვენამდი მოაღწია ერთმა ბილეთმა, რომელსაც აწერია: „შაური თრი — გაბრიელ შაიორი“. წარმოდგენათ გამმართველი იყო გაბრიელ მაიორი. 1830 წლებში რუსობის დროს გიორგი ერისთავი და დიმიტრი ბაგრატოვანი მონაწილეობას იღებდენ ძველი ქართული პიესის წარმოდგენაში. ჩვენამდის მოაღწია ერთმა ძველი პიესის თარგმანმა: „იფიდენია“-მ, რომელიც დავით ჩოლოუშვილს ეკუთვნის.

მეცხრამეტე საუკუნეში მკონანმა აღ. ჭავჭავაძემ სთარგმნა რამდენიმე პიესა ფრანგულიდამ, რომელიც ზედ-მიწევნით იცოდა. 1830 წელს ვიღაცას უთარგმნია „რენ-ნას მასეკა“. 1840 წელში დიმ. ყიფიანმა დაიწყო თარგმნა შექსპირის პიესებისა. ნიკო. ბარათაშვილმა სთარგმნა ნე-მეცთა მწერლის ლეიზვიცის ტრაგედია: „იუდით ტარენ-ტეფი“. 1846. წელს აღ. ორბელიანმა დასწერა „შეფე-დავით ალექსანდერი“, ოქროპირ ბატონიშვილმა გადააკეთა „ვეფხის ტყაოსანი“ წარმოსადგენად. ამნაირად ქართული თეატრის დასაარსებლად ნიადაგი რამდენადმე მზად იყო. ამისდა მიუხედავად, ქართული თეატრის მამამთავრად მა-ინც გიორგი ერისთავი ითვლება. მისი ღვაწლით საძირ-კველი ჩაეყარა იმ დაწესებულებას, რომლის თაღს ქვეშ ქართველი ღრმად იმსკვალება არა თუ მარტო კეთილშო-ბილური აზრებით და გრძნობებით, არამედ თავის თავი-სებურობის, თავის ეროვნული ვინაობის შეგნებით. აქ ეს- მის თავისი შშობლიური ტკბილი ქართული ენა. ამის მე-ოხებით გიორგი ერისთავის მიერ საძირკველ-ჩაყრილი ტაძარი ქართველი ერის აღმზრდელად და მის საუკეთესო მომავლის წინდად შეიქნა. მაგრამ ვორონცოვი თვის ღრმა განათლების შთაგონებით რომ არ დახმარებოდა, ქართუ-ლი თეატრის საქმე შეფერხდებოდა და მისი საძირკვლის ჩადგმა რამდენიმე წლით კიდევ გადაიდებოდა. ვორონ-ცოვმა დაუფასებელი სამსახური გაუწია ქართული კულტუ-რის აღორძინებას საზოგადოდ და ქართული თეატრის საქ-მეს კერძოდ. ამ გარემოებას ქართველი მწერლები შესა-ფერად აფასებენ. აკაკიმ ვორონცოვს უძღვნა ერთი საუ-კეთესო თვისი ლექსთაგანი: „ბებიას ნაამბობი“. პატარა შვილი-შვილი ბებიას ეუბნება, რომ როდესაც მოუხდება

მას, ბებია და უკუს ხილზე გავლა და იქ ვიღაც და
დებულთან გარეობა,

უკავშირთვის ფერი ცუდება. (ბებიას) x3

ბუღი და უწევის ძერასა

და ის რაღაცა ბუტჩეტით

ახმირებს პირვერის წერასა.

და სადის უკრიან, რომა სდგას

კიდაცა უკავშირდება,

თვალცრემლასი შესუურების

შას სახე გაბრწევინებულია.

ბებია უთხრა...

• „ის არის ძეგლი გმირის;

ხომ ხედავ ქუდ-მოხდილია,

თითქო რადაცას სტირისა.

ამას; ყამბობის მდევრევარე

შტერი დედუნით მოსირობულია,

რაც ქართველი ცრემლია უღურიათ

თვალთავან შეუშრობულია..

და ასე ამბობს: ამაღლდეს

სკეპას უძღვეველით!

და წმენდ იქს, ფინც მტრულად

აშას შეახოს ხელით.

ის შემცდარა სრულიად

ქაჯათ და გონებითად, ა

განც უღიერობს იმის დაჩაგრისა


შიშათ და მითნებითათ.

მე გაცი ქარგად, რაც არის

მისი ბაჟშირი სრულიო:

სამართლით გულის მოგება,

მშობა და სიუკარელია!..
 მას უძახოდენ ჯარასტროვს!
 ის იქნა გმირთა გშირად.
 მის დროს ვიგანებ მოხეცი
 და, ჟიდო, მატობ ესტირია!..



აკაკის სოტყვით, კორონცოვმა ბევრი კარგი უყო
 საქართველოს და რომ დასკლოდა, ვინ იცის, რას არ
 მიანიჭებდა? ის სცდილობდა, რომ გაელექიძებია და თვა-
 ლი გაეხილვინებია ქართველებისათვის. მოყვრულად
 წელნელა გამოელვიდებია ღრმოვნებით მიძინებული ერი...
 მოიგონა მისი ისტორია, გაუხსნა სკოლები, გაუკეთა სტამ-
 ბა, გაუმართა თეატრი... შემოიღო სწავლება დედა ერთგუ-
 სკოლებში. მფარველობდა ქართველ მწერლებს...“ სოუ-
 ლი კეშმარიტება აკაკის ამ სიტყვებში. კორონცოვის
 მოღვაწეობას ქართველთა ერის. სასაჩვებლოდ მიუნი-
 თვალსაჩინო მხარე აქვს, რომ მათს წინაშე მნიშვნელო-
 ეკარგება მისი მოღვაწეობის ზოგიერთ უარყოფითს მა-
 რებს...”

მართლაც კორონცოვმა გამოიწვია კულტურული მიელზე სამუშაოდ მიძინებული ძალები ქართველი ერისა...
 და ამ კულტურული მუშაობის მეოხებით ერის უფრის საკითხი იმაზე იყო დამოკიდებული, რომ მოვა-
 ენერგიას, როგორ ქოვრების მარას გამოიყენოთ ერი. კორონცოვმა ხელი შეუწყო თავად მართვის მიზანთა მიზანთა და რეა-
 ბის უფრო დაუძლეურება... ამ გამოიყენება დააჩქარა მისი
 ნივთიერი მდგრამარეობის დაცემის მსვლელობა (პროცესი) და ნიადაგი შეუმზადა მის დაახლოებას ერის დანარჩენ წოდებებთან. კორონცოვის მეოხებით მის მიერ ხშირად გა-

2184.

გართულ მეჯლისებზე ქართველმა თავად-აზნაურობაშ შეი-
თვისა ეკროპიული გემო, ეკროპიული დროს გატარება, ეკროპიული ჩვეულებანი, რის შემხებით პატრიარქალურ
ცხოვრების სიმარტივე მოისპო, გაჩნდა უგუნური ფუფუ-
ნების სურვილი, ერთგვარი შეჯიბრება. ჩატანა-დახურვასა
და დროს გატარებაში, რომლის დასაქმაყოფილებლად
დიდალი ფული შეიქმნა საჭირო. ომის გადმოცემათა
ქვეშე აღზრდილს თავად-აზნაურობას სხეულებრივი შრო-
მა არ ძალედვა, უძლური იყო აღყევებებინა მეურნეობა,
მეტად დაცუმული და პირველყოფილი. ფულის საშოგნე-
ლად უნდა მიემართნა ან კერძო მდიდრებისათვის, რო-
მელთ უმრავლესობა სრისები იყვნენ ან არა და ესრედ
წოდებულ „პრიკაზისათვის“, რომელიც ფულს იძლეოდა
სესხად. თუმცა ამ დაწესებულებამ მამულები ნაკლებად
გაუყიდა თავად-აზნაურობას, რომელიც პრიკაზის დაარ-
სებას დიდ აღტაცებით შეხვდა.

V

• ვორონცოვმა, რომელიც მეფის ნაცვლად იქმნა და-
ნიშნული 1845 წელს 27 დეკ., მიაქცია ყურადღება რო-
გორც რუსული თეატრის საქმის მოწესრიგებას, ისე ქარ-
თული თეატრის დაარსებას. იმ დროს რუსული ენა ქარ-
თველების ძლიერ მცირე რიცხვება იკოდა. ამის გამო თე-
ატრის, უცხო ენაზე წარმოებულს, არ შეეძლო ქართვე-
ლებზე სააღმზრდელო გავლენა პქონებოდა. ვორონცოვი
დაუახლოედა ქართველ ხალხს, დაიწყო კერძო ოჯახებში
სიარული თვისი მეუღლითურთ. დაიახლოვა ქართველი
ნასწარები ახალთაობა და გაუჩინა მას საქმეები. ქართვე-

ლებთან საუბრის სიშეალებით გაივო, რომ ქართულ ენა-
ზე რამდენიმე პიესაც კი იყო დაწერილი. ისიც შეიტყო.
რომ ქართველებს ნიჭიერი დრამატურგიც ჰყავდა. სახელ-
დობრ გიორგი ერისთავი, რომელმაც ვორონცოვს პირ-
ველ გაცნობისათანავე თვისი პიესა: „გაყრა“ წარმოდგინა.
ვორონცოვს დიდად ესიამოვნა. ბრძანა, გიმნაზიის დარ-
ბაზში წარმოდგენა გაემართათ. პირველი წარმოდგენა 1850
წლის 2. იანვრის გაიშართა. წარმოდგენას დიდძალი ხალხი
დაესწრო. იქ ბრძანდებოდა ვორონცოვი თავისი სახლო-
ბით. იმ თვით მაშინდელი განცხადების ასლი:
„თბილისის გიმნაზიის ზალაში, ქალაქის ღარიბი ხალხისა-
თვის, ორშაბათს 2-ს იანვრს 1850 წელსა, წარმოდგენი-
ლი იქნება:

II

„გ ა უ რ ა“

კომ. ვ. მოქმ. თხზულ. გ. ერისთავისა.

მოქმედნი პირნი:

თავადი ანდუქაზარ	თ. იდ. თრბულიანი
შავლე ქა შისი	თ. აქ. ერისთავი
ივანე	დ. ი. უითიანი
ქნეინა შავრინე	გ. ანდრეევსკისა
ქნიაუჩა ნინთ	ქ. ა. თრბულიანისა
შიქირტუმ გამპარის	თ. გიორ. ერისთავი
თავედა, როდე შისი	ქ. ქ. თრბულიანისა
შეშინა, ქადი შათი	ქ. ან. თრბულიანისა
თავადი რაშაზ, სეპრეტ	გ. ა. შანშიუკი

თავადი ბარიაშ	თ.	ა.	ერისთავი
ბარაშ მოუწვევა . . .	თ.	ნ.	ერისთავი
გამრავება	შ.	გ.	ქადაგვი
აქცენტი	თ.	გ.	ერისთავი
კარდაშვერძი	გ.	შ.	ერისთავისა .

წარმოდგენაშ მშენივრად ჩაიარა: საზოგადოება, დილა-
ზა აღტაცებაშ მოიცვა. ის რასა სწერს ვაშინდელი „ჯვ-
კაზი“ (რუსული ოფიც. გაზეთი): თბილისის თეატრის სცე-
ნაზე ითამაშეს თავად ერისთავის კონეცია: „გაურა“. თა-
ვი მოძღვნენ ქართველი შახიობები, ქართულ ენაზე. თა-
ვი შოდდნენ ქართველის შექმ დაწერილ პიესას. კომედია
საწორედ თავის დროზე გამოჩნდა, რომ უნდოდა, ისეთს
უროს; დააგესლია თესლი, რომელიც თავის დროზე მოვა-
ცებს ყვავილებს და ნაყოფს“. ვეორე წარმოდგენა გაიძარ-
თა ქმაცე წლის სამ მაისს. ითამაშეს იშავე გ. ერისთავის
ზესა: „დავა“. ერისთავმა შახიობნი სოფლებიდან მოი-
კანა, რადგან თვით თფილისში შახიობობა უნამუშაო ხე-
ლობად ითვლებოდა. კორონცოვმა ქართულ თეატრს დაუ-
ხაშნა არის თუმანი ერთ დროებით შესაწევრად და ყო-
ველწლიურად კი თოხასი თუმანი. შახიობი ქალების გვა-
რები: საჯაძისა, ნათეშვილისა, ტატიშვილისა. ანტონ-
ჭიათავაშვილისა. პირველი შახიობი კაცები: თვით
გ. ერისთავი, დვანაძე, ტატივავი, რჩეულოვი, ჯაფარიძე,
ქართაძე, კაკაძე და ელიოზიშვილი. სცენის შესანიშნავ
მოლეაწედ ითვლებოდა. ხ: ანტონოვი, გორელი გაქართვე-
ლებული სომხი, 1820 წელს დაბადებული.

ქართულ ოპერის იგებზე (სამხადისზე) კორონცოვიც
გამომანდებოდა. რომ შახიობნი ავად არ გამხდარიყვნენ,
კიდევ მიუმარტა წლიურად ასი თუმანი შახიობთათვის ცაის

აულად: ოეპეტიციებს ეტოლით იარონი. 1851 წლიდან
 დაიწყო ქართული წარმოდგენები. ვორონცოვი თითქმის
 თითოეულს ქართულ წარმოდგენას ესწრებოდა. ვორონ-
 ცოვის ახეთი კეთილი განწყობილება ქართველთაღმი და
 ქართული საქმისადმი არ მოსწონდათ რუსის წვრილ მო-
 ხელეებს, დაბალ ხარისხის ბიუროურატებს. ამის შემხებით
 რუსული თეატრის დირექცია ქართულ წარმოდგენებს ცალ-
 კე საღამოებს არ უომობდა. ქართული წარმოდგენა იტა-
 ლიურ და რუსულ წარმოდგენათა შემდევ იმართებოდა.
 ჩასაც ქართული თეატრის სკედედისთვის საბედისწერო
 პიშვნელობა ჰქონდა. ჯერ ერთი ჭა, რომ იტალიურ და
 რუსულ წარმოდგენათა მსახიობნი. როვორც უფრო გა-
 მოცდილნი, ქართველ გამოუცდელ მსახიობებთან შედა-
 ბით სკენაზედ უკეთესად თამაშობდნენ. ხელოვნების
 მოყვარე ქართველთა რანავრძნობა ბუნებრივად პირველე-
 ბისკენ უნდა ყოფილოყო. თეოთ ქართული პიესები
 მინაარსის შხრით დაბლა იყვა რუსულ პიესებზე. და ამა-
 გარდა ქართული თეატრი რეპერტუარის შხრით ღარიბი
 იყო. ქართული თეატრის საქმეს ხელს უშენდება ის გარე-
 მოებაც, რომ ქართველები ჯერ მოისმენდენ რუსულ წარ-
 მოდგენას და დაღლილ-დაქანულნი იმულებულნი იყვნენ
 ქართულ წარმოდგენებზე შესდარიყვნენ. ამის შემხებით
 ბევრი შინ მიდიოდა ქართული წარმოდგენის წინ, და ვინც
 აჩეპოდნენ. ხეირიანად ვერ ისმენდენ. ზედ დაურთეთ ამ
 ვარემოებას ის ვულგრილობა სახვივიდოებრივ საქმეთად-
 მი. რომელიც თითქოს ონდაყოლილი ჰქონდა ქართველ
 კაცს, მისი ესრედ წილდებული მაშინდელი უკულტურო-
 ბა... ასეთი ვულგრილობა ქართველებში გამოიჩინეს თე-
 ან კი რა ჰქნას ოსეპისოვას მიუვიდია. ყური. (ჰავა).

ატრისალმი. ვერ მოაგვარეს თეატრის საქმე, სანამ მთავრობამ არ უწყალობა იგი... თვით ფილოსოფოსად წოდებული პლატონ იღსელიანი და პოეტი რატიელ ერისთავი თეატრის შესახებ ცუდი აზრისანი იყვნენ. ამისდა მიუხედავად ქართულ თეატრს 1854 წლამდის მთავრობის მიერ ყოველწლიური დახმარები ეძლეოდა. ქართული თეატრის მსახიობებმა დასწერეს შემდეგი /პიესები:

გიორგი ერისთავმა. ძუნწი, თილისმის ხანი, უჩინ-მაჩინის ქუდი, კამისარი შტატ გარეშე ქალაქისა, კარაპეტა ქვევრში, ბებიას თუთიყუში, გაყრა, დავა, ყვარყვარე ათაბაგი.

ზურაბ ანტონოვშა. მზის დაბნელება, ქმარი ხუთი ცოლისა, მე მინდა კნეინა გავხდე, ქორწილი ხევსურებისა, ტივით მოგზაურობა, ორი მდგმური.

ჭაფარიძემ. მაიკო, კვეიანი ქმარი.

დვანიძემ. სახლი კუკიაში.

მეიოფარიანშა. ქმრები გავაბით მახეში.

ცენზორად პლატონ იოსელიანი იყო. თეატრში ხალხი ნაკლებად დადიოდა, რის მეოხებით თეატრს ყოველწლივ ზარალი მოსდიოდა.

VI

10 დროს ორი დიდი ჩვეულებრივი გასართობი ჰქონდათ თფილისის მცხოვრებლებს და მათ შორის ქართველებსაც. ეს იყო. კრივი და დოლი. კრივი იმართებოდა ავლაბარში, ხან სიონის ქუჩაზე, აბას-აბადის მოედანზე, მოღნისის ეკლესიის ახლოს და სხვა... ეჯიბრებოდა ერთმანეთს კრივში: ქალაქის ზემო და ქვემო ნაწილი. საზ-

ლეარი მათ შეუ სომხის ბაზარი იყო. მოკრივეები ორ ბანაკად იყვნენ დაყოფილი. თითოეულს ბანაკს თვისი მფარველი პატრონი ჰყავდა, რომელიც ცხენზე იჯდა და მათ ხელმძღვანელობდა.

ერთი მხრის გამგედ ითვლებოდა მოქეიფე თავადი არჩილ მუხრანბატონი, ხოლო მეორე მხრით ერთი რომელიმე მემამულეთაგანი ბორჩალოს მაზრისა... კრივი იმართებოდა ზამთრის თვეების კვირა დღეებში, ყველივრის კვირაში, აგრეთვე ნათლილების მეორე დღეს, მრავალი ხალხის თანადასწრებით. მოკრივეები ეძგერებოდნენ ერთმანერთს: უშენდნენ ერთმანერთს მუშტებს, ისმოდა ყვირილი ხმაურობა ირგვლივ... ხშირად მოხდებოდა, რომ მოკრივეებს სახე უშავდებოდათ, ცხვირ-პირიდამ სისხლი სდიოდათ და საბრალო შესახედავნი ხდებოდნენ. ისიც მომხდარა, რომ დამარცხებულები მოავლებდნენ ხელს ქვებს, აგურებს, ხის ნაჭრებს და ხან რაც ხელში ხვდებოდათ. ახლო მდგომი სახლების ფანჯრები ილეწებოდნენ, კარები იმტვრეოდნენ, კრივის მოედანზე შეხვდებოდით დაჭრილებს და მკვდრებსაც.

მეტად შესამჩნევი კრივი მოხდა 1851 წელს სიონის ქუჩაზე, როდესაც დაზარალდა აფთიაქი კონბერგისა (შემდეგ ალმუროვისა). ამ კრივში ავლაბრელები დამარცხდნენ და ის-ის იყო წასვლას აპირებდნენ, რომ მათ მოეშველნენ შედორეუები (კუკისა), რომელნიც შესანიშნავი მოკრივეები იყვნენ. ავლაბრელებმა მეღორეთი დახმარებით მოსცხეს მოპირდაპირეებს და თათრის მოედნამდის მირეკეს. მეფის ნაცვლის კანცელარიაში ინახება წერილობითი საბუთი 1851 წლის (‡ თებერვლ.) კრივის შესხებ. უმაღლესი მთავრობა საყვედურს უცხადებს ვორონ-

ცოვს იმისთვის, თუ, რათ დართო კრიფტის ნება; ამასთანავე შეკითხვას აძლევს: მართალია, რომ ა კაცი მოკვდათ და 3000 დაიჭრათ. ვორონცოვი კრიფტის მფარველობდა და თავს იმართლებდა. უმაღლეს მთავრობას აქნობა, რომ შის ყურადღის, მიღწეული ხმები სიმარტლე, მოკლებულია, ერთი კაცი (ურია) მოკვდა იმის გამო, რომ შეეშინდა, დაეცა და თავი ქვაზე დაახალა, დაკრილი არც ერთი არ ყოფილა... არც ცარცუა-გლეჯა ყოფილათ, ბრძანებს ვორონცოვი. მისი აზრით, კრიფტი თფილისში ძველისძველი ჩვეულებაა. მასში მონაწილეობას იღებდნენ ყველა წოდებანი. კრიფტი გამახალისებელი და სამხიარულო ჩვეულება იყო ყველასთვის, მეფიდამ დაწყებული უბრალო ქვეშევრდომამდის. ვორონცოვის აზრით, რუსეთის მთავრობამ არ უნდა დაუშალოს კრიფტი, ორვორც ძველი ჩვეულება. მისი აღკრძალვა მწუხარებას გამოიწვევს აქაურ პუხოვრებთა შორის. კრიფტი დიდი კავშირი აქს ხალხის ხასიათთან, პირად სიმამცესთან, რომლითაც ქართველები დაჯილდოებულნი არიან: ამის მეოხებით ქართველები თმისთვის დახელოვნებულნი არიან. ისინი მზათ არიან ერთს ჩვენს მოწოდებაზე გამოვიდნენ: იარაღით ხელში საზღვრების დასაცავად მტერთა შემოსევისგან ჩვენს ჯართან ერთად. ამ მოხსენებაზე იმპერატორმა ნიკოლოზ პირველმა შემდეგი განჩინება დააწერა: „კრიფტის ნება მიეცეს ქალაქს გარეთ, მაგრამ ისე კი, რომ მუშტებს გარდა სხვა რამ იარაღი არავინ იხმაროს. კრიფტის თვალყური უნდა ადევნოს პოლიციამ, რომელსაც ნება ეძლევა შეაწეროს კრიფტი იმ დროს, როდესაც მოპირდაპირენი გასურდებიან“.

არა ნაკლებ იზიდავდა ხალხს დოლი: ვორონცოვი

ხშირად მოიგონებდა იმ დროს, რდეს მეცხრაშეტე ხალ-
კუნის დამდეგს თავ. ციციშვილის უამს თვითისში შსახუ-
რიბდა. ვორონცოვი იმ დროს ყოველ დღე დადიოდა
მტკვრის ნაპირს და თვალს ადევნებდა სიამოვნებით ცხე-
ნებს. რომლებიც წყალის დასალევად შობიავდათ. შესა-
ნიშნავი იყო ვორონცოვის მეტისნაცვლობის უამს ჯარა-
ლია, რომელსაც მართავდნენ ამალება დღეს ძველი და-
მოუნის იქით. მონაწილეობას იღებდნენ უმთავრესად ხალ-
გაზრდა თავად-აზნაურები, თავიდამ ფეხებამდის შეიარაღე-
ბულნი. რა თქმა უნდა, თვითოეული მათგანი ცდილობ-
და თავი გამოეჩინა ცხენის კენებით და კენების უამს ყა-
ბახისთვის ჯირითის სროლით, ცხენის ქვეშ მოქცეული.
ცხენიდამ გადმოხტომით და კვლავ ზედ შეხტომით. ვო-
რონცოვი ხელს უწყობდა ხალხის ძველ ჩვეულებებს. მან
ჯილდოც კი დაუნიშნა მათ, რომელნიც თავს გამოიჩენ-
დენ. საამისოდ დოლის მინდორზე დასობდენ სვეტს. რომლის
თავზე დასდებდენ ოქროს თასს (ყაბას). ეს თა-
სი ერგებოდა მას, ვინც ჯირითის სროლით ცხენის კენე-
ბის უამს მას მირს ჩამოაგდებდა. ჯირითობას მეტად ხელს
უწყობდა ვორონცოვი. ჯირითი სხეულისათვის შესანიშნივ
მავითარებელი სპორტი იყო, რომელსაც ძველად საქართ-
ველოში დიდ ფასს სრებდნენ... იგი ავითარებდა ძალ-
ლონეს, სიმარდეს და გამბედაობას. ამითი იყო ძლიერი
პატარა საქართველო, ზორებ რას გაუძლებდა მასზე ძლი-
ერ მტრებს. ვორონცოვმა მოისურვა, რომ ქართველებს
სულიერ გასართობიც შეეძინათ. ეს გასართობი გახლდათ
ჭართული თვატრი. მაგრამ მას პირველ ხანად ხალხი აგრე-
რიგად არ ეტანებოდა. მისი სული და გული მდაბალი
ხარისხის გართობებისკენ იყო მიქცეული.

VII

18 წ. წელს, როდესაც ვორონული კავკასიიდამ გა-
დაიყვანეს, რუსულ თეატრის დირექტორმა ბოგდანოვმა
ქართულ სცენას ყოველ წლიურ შემწეობაზე უარი უთ-
ხრა. ერისთავს ცოტა ხნობით საჩივრით გამოქვნდა ეს
დახმარება. ქართული სცენა 18 წ. წლის სეზონის გასვ-
ლამდის მოისპო. ამის შემდეგ გიორგი ერისთავმა სამსა-
ხურს თავი დაანება და სოფ. ხიდისთავს გადასახლდა.

ბოგდანოვის მოხსენების თანახმად 18 წ. წლის გა-
ზაფხულზე ქართული დასი. სრულიად დათხოვნილ იქმნა.
ამავე დასს ბოგდანოვმა ნება არ მისცა რუსულ თეატრ-
ში წარმოდგენების მართვისა. ქართულ სცენას ყველგან
გზა დაუკარეს. 18 წ. წლის გასულს ქართული დასი
იძულებული შეიქმნა დაექირავებინა შერმაზანოვის სახლი
წარმოდგენათა გასამართავად და ამ საქმის გამგედ აღირ-
ჩია თფილისს პირველ გიმნაზიის აღმზრდელი ივ. კერ-
სელიძე. საქმე გაძნელდა. თავადი ბებუთოვი, კავკასიის
დროებითი გამგე, პიესების წარმოდგენის ნებას არ აძლევ-
და, რადგან ისინი ოთიციალურ ცენზორის მიერ ნება დარ-
თულნი არ იყვნენ. პლ. იოსელიანი, რომელიც ქართულ
ცენზორად ითვლებოდა, კერძო პირი იყო, ვორონულის
ნდობით მოსილი. იმის ნებართვას სავალდებულო მნიშვ-
ნელობა არ ჰქონდა. ამის გამო 26 ქართული პიესა პეტ-
რეს ქალაქში გაგზავნეს ნებართვისათვის, რადგან კანონის
ძალით იქ ხელმწიფის კანცელარიის მესამე განყოფილე-
ბაში უნდა განხეხილათ. იქიდან პიესები უკანვე დააბრუ-
ნეს, რადგან ხსენებულ კანცელარიაში ვერ იშოვეს ქარ-
თული ენის მცოდნე პირი. თავ. ბებუთოვი თითქოს გან-

ძრახ საქმეს აჭიანურებდა. ხელს უცარავდა ქართულ თეატრისა. პიესების უკანვე მიღების შემდეგ პეტრეს ქალაქში შეკითხვა, გაგზავნა და მყობადისათვის სახელმძღვანელო ჩვენებანი სთხოვა. ეს მიწერ-მოწერა ექვს თვეს გაგრძელდა. ბოლოს 1856 წლის ივლისის თვეში ქართული პიესები კავკასიის საცენტრო კომიტეტს გადაეცა; სადაც ისინი იმ თავითვე არსებითად უნდა გადაცემულიყო. ამ წელში ქართულ დასს არ მისცეს ნება წარმოდგენების მართვისა სახელმწიფო თეატრში. ივანე კერესელიძეს. რომელიც წარმოდგენებს დაქირავებულ სახლში, მართავდა, ვალი დაატყედა და დიდ გასაჭირებელი ჩავარდა: იმ თავითვე ქართულ თეატრს თან დაჟყვა მთავრობის წარმომადგენელთა უნდობლობა, რითაც აიხსნება ის' შეიწრებანი, რომელნიც მიაყენეს ამ ქართველების თვითშევნების დიდებულს ტაძარს. მხოლოდ ოცდაოთხი წლის შემდეგ (1856 — 1879) შესახლო შეიქმნა მტკიცე სიძირკველი ჩაჰუროდა ქართულს თეატრს.

ჩვენ დიდ ყურადღებას ვაქცევთ ქართული თეატრის საკითხს. თეატრის დაარსებამდის ჩვენში არ იყო შესაძლებელი გონივრული კულტურული ცხოვრება. ქართველი ხალხი ძველებურად დაქსაჭისული იყო, ქართველი ერი წარმოადგენდა ბრძოს, უზრუნველ ბრივას, რომლის საზრდო იყო კრივი, ცხენის ჭენება, ხმლის ქნევა, ჰარიალე, ღვინო და ჭეიფი. მიძინებულ ქართველ საზოგადოებას თეატრი მოევლინა სიცოცხლის მოციქულად. მან ღრმად შეარყია მისი ცხოვრება, შთაუნერგა ახალი გრძნობები და აზრები, რის მეოხებით ძირითად შეიცვალა ქართველის სოფლმხედველობა... თეატრშა მწერლობაც გამოაციცლა... თეატრი ქართულ მწერლობის მასაზრდოებელ

დედად კახდა. სწორედ მას უკან გაჩაღდა ქართული მწერლობა. რომელიც შემდეგში ოეატრთან ერთად იზრდებოდა. მდიდრდებოდა და შინაარსით ლრმავდებოდა.

VIII

ვიდრე გიორგი ერისთავის კომედიების გარჩევას შეკუდგებოდეთ. საჭიროთ ვრაცხთ შეცეხოთ მოკლედ მის ასარებას. რომელშიც ვამოხატულია პლეტის სოფლ-მხედველობა. მისი ლექსები საზოგადოდ მაინცა და შაინც დიდი ღირსებისა არ არის... ჩვენი ქვეყნის ტურფა ბუნება ფრთიდ მრავალ მგოსანს. იძლევა, რაც მომასწავებელია იმ გარემოებისა, რომ ჩვენი ერთ ჯერ მომზადებული არაა დარბაისლური შეჯილობის და მუშაობისთვის, რომ შეს უმრავლესობა ჯერეთ არ გასცილებია იმ ხანას. როდესაც ერთ მხოლოდ გრძნობით სცხოვრობს და სამეცნიერო, დამჯდარი შრომისთვის მაგრე რიგად არაა მომზადებული... ჩვენში ყოველივე მოღვაწე ლექსიღამ იწყებს სამწერლო შრომას. ასე მოიქცა გიორგი ერისთავიც. მის ლექსთა შორის უპირველესი ადგილი დრომატიულ პოემას: „შეჭადა“-ს უკირავს. გიორგი ერისთავი ნათელ დებულ ძემნა 1832 წლის ცნობილ შეთქმულების მიერ, რომელიც შესანიშნავია თავის იდეით და არა შედეგებით. გიორგი ერისთავი გაგზავნეს თუ არა რუსეთს. მისი ქნარიც სწორედ აკვეთდა:

„შე აწ სატექდი მოუყისო შაშორების,
დამიხაშავს კლირით მამულის კარების,
შიგად, განხადა სუდი აქ შრჩების;
მენ სეკდის ქახი თბლიდ დაშრების,
შენ უცხო უცხოდ ნე თუ მხარესა.
უცხოთა დასუფლან მე სამარეს!“

მისი ლექსების უმეტესი ნაწილი მწუხარებით და კვეუნ-
ვით სავსეა. მისი კმუნვა არაა ლრმა, ისაა სუსტი და ნელ-
თბილი... დაბლა სდგას ნიკ. ბარათაშვილის და ვახტ. ორ-
ბელიანის კმუნვაზე. ლექსების საგანი სხვათა შორის. მა-
მულის სიყვარული და მისი წარსული დიდებაცაა. გადმო-
თარგმნილ ლექსთა შორის არიან ლექსები მიცემისა,
ვიქტორ პიუგოსი, პეტრარკისა; ბერანდესი, პუშკინისა და
ლერმონტოვისა. 46 ლექსიდამ 34 თვითონ დაუწერია.
უთარგმნია ისეთი ლექსები, რომელთ შინაარსი მისი პოე-
ტური ბუნების მთავარ პანგს შეესაბამებოდა. საჭიროდ არ
მიგააჩნია მისი ლექსების დაწვრილებით გარჩევა, მიზე უმე-
ტეს, რომ, როგორც სამართლიანად მოწმობს ბ. კიტა
აბაშიძე, სახელწევრებისაც არ არიან.

„შეშლილი“ საუკეთესო ნაწარმოებია. ამაზე სრული
თხზულება პოეტს არ შეუქმნია, ის დიდი ხელოვნებითაა
დაწერილი. უმთავრესი გმირია ბეგლარი, მიჯნური და ისიც
პოეტი (თვით ავტორი, რომელსაც სახეში, როგორც ამ-
ბობენ, ნიკ. ბარათაშვილიც ჰყავდა). ის ოთხი თვის და-
ნიშნულია და უკავშიროფილოა დანიშნულის მშობლებისა,
რომელთაც არ სურთ თავისი ასული მისურნ ცოლად ბეგ-
ლარსა. ლაუგარდოვანმა კამ ბეგლარის გულში აღძრა
სურვილი. ის ნატრობს მერცხლად გადაჭუვებას, რომ მთე-
ლი კის სივრცე მოიაროს და თავისი თვალით ნახოს პა-
რისპირ მზე, მთვარე და ვარსკვლავები. ბოლოს გაახსენ-
და, რომ ადამიანი მომაკვდავი არსებაა და არ ძალუდი ყო-
ველივე თვისი სურვილი განახორციელოს.

„ჩვენა იმედი და ჩვენი ბედი
ასე სიჩმარები თემია გაქრება,
სიტრაცხლის სიში უეცრად სწერება,

გარნალა, ფარ! მე დვითია ქმნილი
უარ ამა მიწას მაგრა მიკრული!
გეგეირობ, რად მომცა გონება, ნება,
თუ რომ სიკვდილით სულ დასრულდება!
შაგრამ რა გუჩქრებ ზზესა, მთვარესა,
აშ შინათობთ ფარისებრებავთ, ცის სამეჯარესა;
იღუმაღ შეტევეს მე სინიდისი:
სხვა სოფლისათვის არს სამზადისი... .

ყოფნა-არ-ყოფნის საკითხი აღლულებდა და ღრმად
აფიქრებდა მთელი მსოფლიოს ყველა მგოსანს და ყველა
ფილოსოფობას. ვერ ას ცდა ამას გ. ერისთავიც, რომელიც
წმინდა წყლის რომანტიკოსად მოსჩანს ამონაწერ ნაწყვე-
ტებში. მას აქვს შისტიური შეხედულება სიკვდილ-სიცოცხ-
ლის შესახებ... პოეტების ნერვების აშლილობით აიხსნე-
ბა ასეთი თავის მტვრევა იმ საკითხის გამო, რომელსაც
სიკვდილ-სიცოცხლე ეწოდება და რომლის საბოლოვო
გადაწყვეტა არყის ძალუბს... ყოველზოის პოეტის ნაწარ-
მოებთა შორის ეს ადგილი შეადგენს სუსტს ადგილს,
რომლის გარშემო მრავალი სიტყვისა და აზრის გროვაა...
და მკითხველი იძულებულია იკითხოს და ისწავლოს მსგავ-
სი ადგილები... რამდენი დრო ეყარგება მკითხველს ამისი
მსგავსი ადგილების შესწავლაზე, დრო, რომელსა კარგებ-
ლობით მოიხმარს სხვა რეალ, ნამდვილ ცოდნის შეძენი-
სათვის. ჩვენ მიუტევებელ ცოდვად მიგვაჩნია ამისი მსგავსი
კითხვების დასმა... და პასუხიც, რომელსაც პოეტი იძლე-
ვიან, წყლის ნაყვას წარმოადგენს, მით უმეტეს, რომ ხში-
რად ამ პასუხს სიმვოლურ და ზღაპრულ ბურუსში ახვე-
ვენ და ამით უფრო აბნელებენ ისედაც დაბნელებულ და
გზააბნეულ გონებას... სადი ცოდნა, ნამდგილი ცხოვრება,

გეთადღმობილური გრძნობები საშობლოს. თვისის თავას და ქაციაბრიობის წრიყელი სიუკარულისა — აი საგნები, ომელთაც უნდა ემსახურებოდეს „უფელივე დარგი სიბრძნისა და თვით პოეზიაც, ომელიც სიბრძნისაა ერთი დარგი.

გიორგი ერისთავი ომმანტიკოსი იყო, ეს სჩანს მისი ლექსიდამ „ნიკოლოზ ბარათაშვილის გარდაცვალებაზე“.

„რა მიგვეხარჯ, ცას შეგსცექია; რა დღე ძნელდებას, გუვურებ, ტატრას რა გარსეგავად გამოიწყინდების. თითქოს გხედავ შენ მოარულსა რძისა გზაზედან, ანგელოსი დასნი გეხვევინ, უკრს დაგიგდებენ, მერე ცის სივრცეს, დაუჭარდოანს განავარდებენ!“

ბეგლარის შეხედულობა. ცხრილების და სხვა სოფლის-თვის სამზადისის შესახებ იწროა: მას კატეხიზმოს სახელმძღვანელოშიც შეხვდები: საანბანოა... ეს გარემოება ვიჩვენებს, თუ ჩვენი პოეტები რა განვითარების პატრონები იყვნენ. ისინი არ იცნობდენ ევროპის კლასიკებს, და ალბათ, არც რუსთა მაშინდელ საუკეთესო მწერლებსა. ჯერ კიდევ მეთვრამეტე საუკუნის გასულს დიდებულმა გიორგემ, ნემეცთა მგოსანმა, შექმნა უკვდავი „ფაუსტი“,

ეს დიდებული ნაწარმოები, ეს ზღვა ლრმა აზრებისა და დიადი გრძნობებისა... გიორგეს ფაუსტი ამბობს: „მე შევისწავდე ფილისტიურისი, შედიცინა, უფლება, დათისეტეტესი-დება. მაგრამ ვდგევარ სატოდავი ტუტუფი... ყველა მემახის მაგისტრს, დოქტორს, მყავს მრავალი მოწაფე, მაგრამ „მე არ ძალიმის რამე ვიცოდე! ამის გამო მიღულს ძარლვებში სისხლი“. ფაუსტი სწუხს, ომმა ის იმყოფება იწრო თთახში, ომელიც გამოტენილია წიგნებით, ომელთაც მატლი ხრავს; აქ ყველგან ბოთლებია, იარაღებია.

*) სახელია ნიკ. ბარათაშვილისა.

„Взамѣнъ природы всей живой,
Куда Господь послалъ людей,
Живу въ пыли я лишь гнилой
Звѣриныхъ да людскихъ костей“.

ჩვენ გვესმის ლრმა სევდა ფაუსტისა... ის შედევრა
სრული კოდნისადმი მისწავებისა,, იმ დიადი განვითარე-
ბისა, როჯელიც შეიძინა. დიდი განსხვავებაა ფაუსტისა და
შეგლარს შორის, ისე როგორც გიორგისა და გ. ერისთავს
შორის... მაგრამ ეს რა საძრახისია ქართული მწერლობის-
თვის, როდესაც თვით რუსული მწერლობა იმ დროს,
როდესაც გიორგი ერისთავმა იშუა ლექსების წერა, სამუ-
ტანად ვერ იცნობდა ევროპის საუკეთესო მკონებს!

„შეზღუდულში“ ბუნება გამოხატულია, როგორც ადა-
მიანის ბატონი... ადამიანის მტერი. ბუნებასა და კაცს
ჰორის არსებობს უთანხმოება; წინააღმდეგობა. ადამიანი
სუსატია ბუნებაზე:

„କୁର୍ବାଙ୍ଗରେ ଏହା ଦୁଇଶବ୍ଦ କୁର୍ବାଙ୍ଗରେ ଥିଲା
 (ପାତ୍ର) କବିରଙ୍ଗାଳିନୀ ଲାଗିଲା କମିନ୍ଦିଲ୍ଲାଖିଲା
 ଦେଖିଲୁଣା, ପରିଦେଖା ଏହା ଲାଜୁ ଆଜିଲ୍ଲାଖିଲା!
 ଏହା କେବଳ ଯୁଦ୍ଧରେ ହାନିକରଣକାରୀ ହିଁ;
 ପରିବାର କାହାର ପାଇଁ ହାନି ହାନିକରଣକାରୀ ହିଁ!“

სიუვარული საჭირ-ბოროტო საკითხია პოეზიაში... ის
გორგი ერისთავს ოჩვარად ესმის. იმავე პოემაში მო-
ყვანილია ბეგლარის ლექსი, საყვარელთან მიწერილი. იქი-
დან. სჩანს, რომ პოეტი იმას ელტვის, რომ სატრფო დაი-
ნახოს, მისი ხელი. გულს მიიკრას და მას ლამაზი თვალე-
ბი გადუკოცნოს... მაგრამ, ერთსა და იმავე, დროს. სიყვა-
რული ჯოჯოხეთიც არის და სამოთხეც, დამტანჯველიც
და აღმტაცებელიც... ამ აზრს ბეგლარი გამოსთქვას. თა-

ვის სატროლისთან საუბარში: „დიტონა ქაცა რთგზრ შიხვდება, რომ ჩემი გული არა დაკუწევდი და მასგან შევქმენ ტროფისთ ანბანა!“ პოეტს იმავე პოემაში მოჰყავს აზრი დედაკაცის დაუღვრომლობის შესახებ. დედაკაცი, მისი აზრით, კაცის შემაცტენელი და მისი მომატყუებელია. მაგრამ თვით პოემის მსვლელობიდამ არა სჩანს, რომ ჭავოლისი ყოფილიყოს ამ საყვედლურისა. ბეგლარის მიმართვა ქალთადმი ერთი თაუკეთესო აღგილთაგანია შოებიში აი რას ეუბნება პოეტი ქალებს:

„კაცის ფერცხადო* შაცდურადო, ბურცელი ოცნების,
გშედებრივ ქრედო, პატი გულმიხვრედო, მასინჯ ტოწების!“
თუ! თუ შემქმდეს, შემთგბერთო სამუშაი ქარი.

რომე თქვენითა სულ ადგავსთ მდინარე შიტვარი.

ას შიგცეთ ქბილია, დამიას ქრილია, უა დასტერევია,
რომ ქალთა სახეს დაღმესავდეს როგორც რომ კევსა!
წარვედ, მაცდელო, უგუნურო, გაგსრეს ვით გვედია,
გაგიჭედეტ თავსა, აძღვოსრით თვალია, ქაცო

შომწამელელია.

გიწამდავთ გულია, გრშხამავთ სულია. შეგქმით ქლექებად,
დდესა გეთილსა არ შოგცემთ ძილსა, გეცეთ შეხებად.“

მაგრამ თითქო შეინანაო ასეთი თვისი ცუდი შეხედულობა ქალთა შესახებ, ბეგლარი თავის. თავს მიმართავს
და ასე ეუბნება:

„საბრადო შტერო, თავის მტერო, რას ბოდავ ენით?

რას იქ ამ სოფელს, არ შენს სამუთაველს, გველებრივ
გბენით?

გინ გქმნა უფალი,
დასთრგუნო ქალი,

9

*) გვერდი.

დფოისა ქმნილება,
შშენიურება!

ამავე პოემაში პოეტი ის აზრიც აქვს გატარებული, რომ სასოგადოდ თავის საუკეთესო შვილთ, პოეტებს ხშირად ხალხი სდევნის. პოეტის ხვედრი დევნა და ტანჯვაა... მას ხშირად შიმშილი მოელის. მოიგონებს ბაირონის, ტარკვატო ტასოს, კამოენსის, დანტეს და ოვიდიოსის ბედსა...

„და თქვენცა, ერთ, მომღერალთ მტერნო, სავენი შურით,

თქვენ არ იყავთ, დასცინოდით დიდ ბაირონსა?

ტარკვატო ტასი?

გერ სცანით ფასი,

უწოდეთ შტერი,

ჰემენით პერობილი:

მის მდერა ტბბილი.

გერ მოიგონეო.

თქვენში არ იუთ კამტენსი მოგვდა მშიერი?

თქვენ არ სდევნიდით დიდსა დანტეს, იყავთ მტერი?

და ავადიას რომისაგან რისოვის განძეთ?

იქნებ შეც ისე მომიძულოთ, არეის დაგნანდეთ?“

პოეტის გული ამ სიტყვებში სწუხს საერთო საკაცობრიო ვაების გამო. მისი ოცნება ჰურენს მსოფლიოში, განშორებული სამშობლოს იწრო ჩარჩოებს, მაგრამ არ ავიწყდება, რომ ის თავისი ერის შვილია, მოწოდებული ამ ერის სენთა საკურნებლად. ამის გამო მიმართავს თავის ლვიძლ თანამოქმედებს ამ სიტყვებით:

„იქნებ შეც ისე მომიძულოთ,

არეის დაგნანდეთ?“

თავის მოწოდებასა და მსოფლიო გენიოსთა მოწო-

დებას შორის გ. ერისთავი ნათესაობრივს, სულიერ კავ-
შირს გრძნობს, გრძნობს აგრეთვე ბედის ერთობას. ქართ-
ველი პოეტის ასეთი შეგნება ევროპის კულტურულ ფერ-
ხულში ჩაბმული ქართველი ერისთვის სანუგეშო მერმი-
სის მომასწავებლად დასასახი იყო.

IX

პოემაში გამოყვანილია ტასო, ბეგლარის სატრფო
ქალი. პირველ ნაწილში ის სჩანს მხიარულად და ბედნი-
ერად, ხოლო მეორე ნაწილში — შეშლილად, ფერმიხდი-
ლად, თეთრი კაბით. დედას გადაჭრით უთქვაში მისთვის,
რომ არ სურს მიათხოვოს მესტვირუ ბეგლარს. ტასო,
ჯავრით კუუაზე შემცდარა. მკურნალი მაინც გათხოვებას
უჩევს.

მშობლებმა გადასწყვიტეს მიათხოვონ ვიღაც კაპი-
ტანს, ხანში შესულ საქმროს. ქორწილის დღეს ტასო,
ჯვარის საწერად განმზადებული, გამოეთხოვა ყველას და
სახლის აიგნიდან მტკვარში გადავარდა: ბეგლარის სიყვა-
რული კაპიტანზე არ გაცვალა. ბევრი ლამაზი და მშვენი-
ერი ადგილია ამ პოემაში. მხოლოდ კომიკური სცენები
მასში ზედმეტად მისაჩნევია. მასში გამოხატულია ნამდვი-
ლი, რეალურა ცხოვრება, ქართული ხასიათი. პოეტი ამის
მეტხებით გვიხარავს, თუ რა ცუდ გარემოებათა შორის
სცხოვრობდა კაცთა უგრძნობლობა და გულგრილობა
სხვათა ჭირის მიმართ; საოცარის მაგალითითაა დასურა-
თებული: ერთად შეგროვილნი „ლოტოს“ სათამაშოდ
გაიგებენ ტასოს უბედურებას, მაგრამ წარბსაც არ შეიხ-
რიან და უსირცხვილოდ განაგრძნობენ „ლოტოს“ თამა-

შობას... მასში დახატულია იმ დროის ქართული ოჯახის ნამდვილი სურათი: აზრები და წარმოდგენა ცოლ-ქმრობაზე, სიყვარულზე, მწერლობაზე, გონებითს შრომაზე, აღწერილია იმავე დროის დავისა და საჩივრების მოყვარეობა... აქ გამოხატულია პოეტის მომავალი დრამატული მოდვაწეობის პროგრამა. ტაქის „დედა“ ანახანული ემდურის სასიძო ბეგლარს, რომ არზა არ დაუწერა. რომლითაც უარი უნდა ეთქვა ნასესხები ფულის მიცემაზე ერთის დალალისთვის; მწერლობას დაცინვით ეპყრობა... ვაშინდელი ქალები სიყვარულის გრძნობას დაცინვით ეპყრობიან. ისინი სიყვარულს „მოღნად“ სთვლიან. აი რას ამბობს ერთი მაშინდელი მანდილოსანთაგანი:

„ჩეკნა ვეთვიადვართ უმაწვიდდ ქადები,
ჩეკნა გვერთია კარგი თვალები,
შაგრამ ჩეკნ გუდისა არა ვკითხაუდით,
საქმროდ ვის გვინდა. ვისივის ვთხრაუდით.
პათხლებასა მაშინა ვგრძნოდით;
როცა საუდარში ქმარს წაფეკებთდათ!“

- ასეთს საზოგადოებაში, რა გასაკვირველია, რომ გიორგი ერისთავის ნიჭი სასურველად ვერ გაფლრჩენილიყო... მან ცხადად შეიგნო, რომ ზნეობით დაცემულ ქართველ საზოგადოებას ზნეობრივი წვრთნა, აღზრდა ესაჭიროება... რომ საჭიროა თვალთ წინ დაუყენო მისნი ნაკლულევანებანი მთელის მათის საშიშროებით და მოუწოდო საუკეთესო ცხოვრებისათვის.

ბიორგი ერისთავი ქართველ მწერალთაგან პირველი
შეეხო ქართველი ჭალხის ნამდვილს ჩეალურს ცხოვრე-
ბას აწყები და მით შეიქნა ქართულ ლიტერატურაში
რეალიზმის დამყარების მამამთავრად. ორალიზმი გვიმოძლვ-
რებას, რომ ბუნება და იდამიანთა ცხოვრება მწერალმა ისე
დახატოს, როგორც ეს ნამდვილად არის, სრულის შეუთხ-
ზებლი სინამდვილით... მწერალმა თავისი პირადობა და
თავისი პირადი გრძნობები (სუბიექტივიზმი) უნდა უკუ-
აგდოს ამა თუ იმ მოვლენის დასურათების დროს... ამ შემ-
თხვევაში მწერალი ფოტოგრაფისს მოგვაგონებს: მან უნ-
და გადაიღოს საგნის სახე ისე, როგორც ნამდვილად არის...
რეალიზმი იმას გვიმოძლვრებს, რომ ბუნებაში ყოველივე
ჭინდაწინ განსაზღვრულ კანონებს. ემორჩილება... კაცი
ბუნების შვილია, მისი ნაწილია და ამის გამო მისი ხორ-
ციელი და სულიერი ბუნება ბუნების მრვლენათა ძლი-
ერი ზედგავლენის ქვეშ იმყოფება... ამის მეოხედით იდა-
მიანი ბუნების ყურმოჭრილი მონაა და არა მისი ბატო-
ნი. იდამიანის სულიერი მოძრაობა იწყება და თავდება
მის სხეულში, რომელიც ისეთივე ხრწნადია, როგორც
პირუტყვის და სხვა უსულო საგანთა სხეული. ორალურის
ქმნილების შინაარსად შეიძლება იყოს ჩვეულებრივი, სადა
მოვლენა, რომელსაც იდამიანი ყოველ დღეს ხვდება და
არა რამე განსაკუთრებული გვამის ცხოვრების და შემ-
თხვევის აღწერა. ამის მიხედვით თვით ენა და სტილი
რეალური ნაწარმოებისა უნდა იყოს მდიბიო, უბრალო..
მწერალს შეუძლიან იხმაროს თავის. აზრების გამოსახატი-
ვად ყოველივე საგძალი, რომელიც კი ენის. ლექსიკონში

მოიპოვება. საქართველო ბაქვიდა რუსეთი, რუსეთი — ევ-
როპა. რუსული მწერლობის საშუალებით საქართველო-
ში რომანტიზმის აზრები გავრცელდა; ხოლო რომან-
ტიკული სკოლა ქართველთა შორის არ არსებობდა. რომან-
ტიკულისები აზრით და გრძნობით, იყვნენ საქართველოში..
ჩეალური მიმართულების დამყარებას წინააღმდეგნ გრ.
ორბელიანი, პლატ. იოსელიანი და სხვანი... პირველი
მათგანი რომანტიკული იყო. გაიმართა ლიტერატურული
დავა. რომანტიკულისა და რეალიზმის წარმომადგენელთა
შორის (აკაკი, ილია): ეს დავა აზრთა. სხვადასხვაობას
მოწმობდა: საზოგადოების განახლების მაჩვენებელი იყო..
გრიგოლ ორბელიანს არ მოსწონდა რეალურის მიმართუ-
ლების სადა, მდაბიო ენაც...

რეალიზმი ქართულს ლიტერატურაში დაიბადა მე-90-ი
წლებში. სწორედ მაშინ, როდესაც ის ევროპაში გაჩნდა...
საქართველოში ჩეალიზმის დასამყარებლად შემუშავდა.
ცხოვრების პირობები...

ქართველებმა უნაყოფო თუნებობას თავი დაანებეს
და ვლრონცოვის გამგეობის დროს ხელი მიჰყვეს თვისი
ცხოვრების ნამდვილ, რეალურ საჭიროებათა განმარტება-
სა და დაკმაყოფილებას. მათ მესვეურად იმ უამდე გიორ-
გი ერისთავი შეიქმნა. ის, თუმცა რომანტიკულსთა შორის
აღხრდილი იყო და თვისს ლექსებში მათ გავლენას გზავერ
აუხვითა, მაგრამ მაინც მისი სალიტერატურო მოღვაწეობა
რეალური სასათიანა „მისი გონება,— როგორც ამბობს
კოტა აბაშიძე — მეტად ფხიზელი და დაკვირვებული იყო
და მას თანდაყოლილი პქონდა სატირიული ნიჭი, ნიჭი
დაკინვისა და განკუცვისა. ხოლო როცა დრომ და გა-
რემოვებამ მოიხსოვა განგებისაგან მინიჭებულს ნიჭს ერის-

თავისის გზა გაეხსნა, სახე ამ ნიჭმა თავისი დაგვანახვა. იყი არსებითად დრამატიული მწერალი იყო. ორგორც დრამატიულს მწერალს, ბევრი ნაკლულევანება აქვს, მაგრამ ეს მისი ბრალია, რომ ქართულ ლიტერატურაში რა იყო პირველი ემ გვარი მწერალი და როგორც პირველს ბევრის ახლისა და წერილმანის შემოტანა დასკირდა ჩვენს ლიტერატურაში, რამაც მისი ნიჭიც დააბრკოლა. მის კომედიების ნაკლულევანებებში მის ნიჭს იმდენი ბრალი არ ადევს, რამდენადაც ქართული ლიტერატურის სიღარიბეს. გ. ერისთავის კომედიების მნიშვნელობა ჩვენის ცხოვრებისა და ლიტერატურისათვის „მრავალგვარია. იგინი შეიქმნენ ენით და შინაარსით ახალი მიმართულების შემქმნელნი“.... მას მდაბიო ენა აქვს ლექსებში, უფრო მარტივი. და სადა, ვინემ რომანტიკოსების ენაა. ამ მხრით უფრო საყურადღებოა მისი კომედიების ენა. პლატონ იოსელიანი; ძველი მიმართულების მომხრე, მაგრამ ლრმად განვითარებული ადამიანი; აი რას ამბობს გ. ერისთავის კომედიების ენის შესახებ: „მწერლობა ძველთა (გარდა რუსთველისა და მცირეთ სხვათა) არა იყო ჩვეულებითის საუბრის ენით, რომელიც არის და უნდა იყოს კეშმარიტი ენა ზალხისა. დამწერმან ამა პირველისა, ქართულსა ენაზე კომედიისა („გაყრა“) თ.. გ. დ. ერისთავმან, დასადა ენა ქართული ახლისა გვარისა, მწერლობის: იყის“.

მართლაც, ქართულს ლიტერატურაში დაბადებულს ახალს რეალურს მიმართულებას ახალი ენაც ეჭირვებოდა... ისაა მამამთავარი არა მარტო რეალურის მიმართულებისა ქართულს ლიტერატურაში, არამედ დრამატიული მწერლობის შამამაჯავარიც. გიორგი ერისთავმა, როგორც ვიცით, უმთავრესად თავი ისახელა თავის კომედიებით: მათ-

ში ცხადად სწანს მისი გონებითი ძალ-ლონე და ზნეობითი ვინაობა... 'კომუდიებში, როგორც ამას მოითხოვს რეალიზმი. ავტორს უფრო ადვილად შეუძლია თვისი პირადობის დამაღვა... თვისს აჩრებს და გრძნობებს ის. პირში უდებს სხვადასხვა მოქმედ პარს, არა თუ მხრილოდ მოქმედებეა, არამედ ურთიერთშორის ლაპარაკობენ... საზისლარი და დასაძრახისი მიმართულების და მოქმედების სცენაზე გამოაშარავება თვით მოქმედ პირთა სა- უსალებია, რომელთ უჯან. ავტორი იმაღება, უფრო ხელ- საყრელია მწერლისთვის, ვანებ პირდაპირი მხილება...

XI

გიორგი ერისთავი. ზნეობითი კომედიების მწერა- კია. ის ასულებს ქართველი ერის ნაკლულევანებათა უა სურს მათი აღმოფხვრა მისი ცხოვრებიდან... გიორ- გი ცრისთავი თავის კომედიებში ამხილებს ქართველ- თა ცმოლდმორწმუნოებას, დაუდევნელობას, უქმად დროს გატარებას, ფლანვებას, ვალის სიყვარულს, ბაქიაობას, მარ- ტივ სულობას... მაშინდელი ქართველის ღირსებას შეად- გენდენ ვაშეატანა და რაინდული სასახამი, როგორც მრავალ საუკუნოვანი მემკვიდრეობის ნაშთი. ამ გვარს საზოგადო- ებას გამოფხიზლება ეჭვირვებოდა. გ. ერისთავის კომედი- ების საშუალებით ხალხმა თავისი თავი იცნო, დაუინვაშ თავისი კეთილი შედეგები მოიტანა და საზოგადოება რამდე- სადაც გამოფხიზლდა... უველაზე მეტი მხილების მათხახი იავედა-აზნაურობას და ძოვაჭრე საზოგადოებას მოხვდა. გ. ერის- თავის კომედიებში ვხედავთ ორს უმთავრესს მოქმედ პირს: ქართველ თავადს და სომეხ ვაჭარს..., პირველი ფუქსავა-

ტია, თვისი ქონების მფლანგავი. ხოლო მეორე მისი შედამ მომტყუებელი, ყაირათიანი; ხელმოსურილი... ერთს-თვის კომედიებში თავად-აზნაურობა ის თაობადაა ვაჭოუვანილი. ერთი თაობა ძველია, ხოლო მეორე ახალი. პირველი: ძველი მამაპაპური დარბაისელი თავაღ-აზნაურობაა; ის ამპარტაფანი და დაუდევნელია; მეორე: ოუსეთში ნამყოფი „თერგ-დალეულებს“ თანაუგრძნობს. ძევლის თაობას შრომა არ უყვარს. ოჯახის მოვლა არ იცის, მწევარ-მეძებრებს დასდევს. სწრაფია და უორჩნა*) აგონდება იმ შემთხვევაშიც კი, რომ დესაც ოჯახი ელუპება და ცოდნ-შეილი შიმშილით ეხოუბა (პავლე); სადაც ქონების პატრონი სულ საჩივარში ატარებს. თავის სიცოცხლეს და ამ საჩივრებში გარჩევას თითო მდივანბეგი უნდება (ონოფრე); მის ჯიუტობას სახლვარი არა აქვს: მას უმჯობესად მიაჩნია თავის თავის და მეზობლის დალუპვა მასთან მორიგებით საქმის. გათავებას (ამირინდო)... ისეთი ფიცხია, რომ არ იბრალებს საწყალ გლეხს ასაკლებად და არც დაინდობს თავის ძმას მოსაკლავად სულ უბრალო მიზეზთა გამო (ანდუყაფარ)... ბუს სამსახურშია, ის ქრთამს იღებს (რამაზ), თუ სამსახურში არაა, თვითონ აძლევს ქრთამსა (ამირინდო და ონოფრე). რომ საქმე მოიგოს. მისი ცხოვრების უმთავრესი მიზანია: „სმა-ჭამა დიდად შესარგი“: ბოზბაში, ჩიხირომა, მწვადები, ფლავი, ლულა-ჭაბაბი, აფხაზური, სამოციანიდამ ამოლებული ღვინო. ჭამაჭამის მეტს არას დაგიდევს. საკუთარი მამულის და მეზობლების გარეშე, მისთვის მარტო მაზრის ქალაქია, სადაც „ზასედატლები“ და „ისპრავნიკები-“ა, და თითონ ქალაქი თფილისი... და მარტო ერთხელ მიაღწია

*) ძალლების სახელებია. გვ' ჰე !

ანდუყაფარმა. მოზდოკამდის და ისიც რის ვაივაგლახით. მისი გეოგრაფიის ცოდნა მეტად შეზღუდულია. კარჩა-კუტილობა უყვარს, შორს წასვლა, სხვადასხვა ქვეყნების და ერების ნახვა არ ეპიტნავება... ამის გამო იწრია მისი სოფლმხედველობის ფარგალი. ერუობა, რომ ქართლელი თავადი ჰყავს სახეში ერისთავს.

რ/ს: ახალთადა რუსეთში ნასწავლია? დიდი სურვილი აქვს, მაგრამ საქმეში კი ვერ გამოუყენებია თვისი სწავლა. თვისი თავი მიაჩინია ახალშობილად. გრძნობს, რომ მოწოდებულია. ცხოვრება ახლად დაწყოს - და შეებრძოლოს ცხოვრების ზღვის მღელვარე ტალღებს. იცის კარგად, რომ ძველი თაობა და საზოგადოდ ხალხი მას (ახალთაობას) ნდობია არ უცქერის. სწყურია შრომა, სურს ახალი სისტემით მიწა შეამუშაოს, ყებთან კეთილი განწყობილება დაიჭიროს (გლეხთა ვათავისუფლების აზრი ჯერ არ იყო), ბანკიდან აპირებს ფულის სესხად აღებას, თუ საქმისთვის დასკირდება. მისი ნაკლი ამას გარდა; სიჩქარეა: სურს ვაზები ამოთხაროს და თუთის ხეები ჩარგოს იმათ მაგივრად. ეს ქართველთა ჩაცეა ღერბის ქალალდზე ღეჭქსებსა სწერს, სიტყვით ბევრს რამეს იქადის, საქმით კი ვერას აკეთებს, საქმიანობას გაურბის. იგრვე ძველი თაობაა თავის აგებულობით, მხოლოდ რუსეთში ნამყოფი და გონება განვითარებული; მშობელი ქვვყანა და მასში არსებული წესები არ იცის. თითქოს ერთი შეხედვით ადამიანის გულს ახარებს. მეცნიერებანი შეუსწავლია, ტკბილად მოსაუბრეა. საქმიანობისა კი არა გაეგება - რა; თვისი საკუთარი სარგებლობაც კი არ ესმის. მეტად სუსტი ნებისაა. აღვილად შეიძლება მისი დაყოლიება, მისი გადაბირება.

ს. შექი გ. ერისთავის კომედიებით, ვერცხლის მო-

ყვარეა, მაგრამ ჯერ ადამიანურ გრძობებს შოქულებული არაა, გული არ გაქვავებია. იმისი სარგებელი სამრ შაურია (15%). ქრთამის გამებას საქმის გაკეთებისათვის ცოდვად არ სთვლის. ის ოქროს ხბოს ეთაყვანება. ობობა-სავით დღე და წამე ქსელს აბაშს, რომ მეტი სისხლი გამოსწოვოს. მას, ფინც ხელში ჩაუვარდება. ამისთვის ცდილობებს მოიპოვოს უპირველეს ყოვლისა ნდობა და მევლძრობა ხალხში, რომ უფრო აღვილად გააძროს ტყავი. პირში თავის მსხვერპლს უკინის, ზურგს უკან კი დასკინის და ტუტუქს ეძახის. გამოსადეგ პირებს პურ-მარილია უმასპინძლდება, ფულს აძლევს და ამით ბრძოლას იადვილებს მოვალესთან. ის ბანკს მეტად ამტკირებს. მისი აზრით, სანამ ბანკიდან ფულს მიიღებდე, დაკლერქდები. ზოგიერთი ვაჟარი (კარაპეტა დაბალოვი) ფულს ავროვებს და მას ეთაყვანება. ამით მკითხველ-მსმენელისთვის საზიზღარი ხდება. ზოგი კი, როგორც მიკირტუმი, ცდილობს თავისი თავმოყვარეობა დააკმაყოფილოს ფულის საშუალებით, სურს კნიაზთან დამოყვრება... ქართველები ცდილობენ სომხებთან ერთობას, სოლიდარობას, რასაც კავკასიის ერთათვის დიდი მნიშვნელობა აქვს. არჩილი იწერს ჯვარს კარაპეტას ქალზე და ეუბნება: „დრო არის დაკინახოთ, რომ ჩვენ ფართ ერთი ხალხი, არ უნდა იქნას ჩვენშია ერთმანეთის სიძულევილი“.

ქალთა შორის გ. ერისთავის მიერ კაშზრდელი უფრო კარგათა დასურათებული. გამზრდელი ემსახურება ბატონის ოჯახის სახელს. არ მოსწონს ბატონის ასულის საქალებო ინსტიტუტში მიბარება. იმისი აზრით, იქ ქალები ირყვნებიან, ნესტან-ტარიელობას სწავლობენ. გამზრდელს ძლიერ ეწყინა, როცა გაიგო, რომ მისმა გაზრდა

დილმა, ნინომ ბეგლარის წერილი მიიღო. მან „ლაფის დასხმა, სირცხვილი და ჩაქოლეა“ იძახა, მეტი არაფერი. ამგვარივეა ბეგლარის „გამზრდელი... შესანიშნავია, რომ გამზრდელებს ერთმანეთი, ეჯავრებათ. თავადის ცოლებში კარგად დახასიათებულია მაკრინე, პავლეს ცოლი („გაყრა“). ის ძლიერი და ენერგიული ქალია, თან მოხერხებული, ვეტათ საქმიანი.

გ. ერისთავი ჩინებულად გვიხატავს თვის თანამედროვე მოხელეების მექრთამეობას და უვოკობას და ამით ჰკიცხავს მაშინდელ სასამართლოების წესწყობილებას. მაშინდელ მოხელეებში ძნელად ნახავდით სიკეთეს და კეთილ სინდისიერებას. ისინი უვიცნი არიან და შეცყრობილნი ანგარების სენით: არ ზოგვენ არც მკვდარს. და არც ცოცხალს (ხარიტონოვი, ლიპიჩი). იღებენ ქრთამს მცირეს და დრეს, მათთვის არავითარი ზნეობრივი პრინციპები არ არსებობს. გიორგი ერისთავის ნაწერებში ბევრი საყურადღებო ცნობაა: ჩინური სალამი, გულის გაზომვა, შელოცვა, დაუკითხვათ ქალების გათხოვება, ჩადრი, ახალგაზრდები ცოლის შერთვას გაურბიან და ბანქის თამაშში კი კოტრდებიან, ვაჭართა შვილები ჩინოვნიკებად ხდებოდნენ, „ბობრის კოროტნიკი“ ახლად შემოსული იყო, სომხეთის მღიდარი ვაჭრები ახლათ გამოჩეკილნი იყვნენ, გუშინ დელი ქუჩის ბიკები დღეს მდიდრები არიან და დიდალ თანხას ატრიალებენ.

„გაყრა“— მოქმედების მხრით შშენიერი კომედია. ოთხ მოქმედებიანია. პირველი სცენისავე საშუალებით შეგიძლიათ შეიტყოთ, თუ რაზეა ლაპარაკი, რაა მისი დედა აზრი. ყოველი სცენა წინ სწევს კრმედიას. მხოლოდ ეტუ ყობა, რომ ავტორი ჩაქობს, კომედია დაათავოს და ამის

გამო სტოვებს ბევრს მოქმედების დასასურათებლად საჭირო სცენას. გ. ერისთავის კომედიების დაცინვა დამყარებულია, როგორც ამბობს ბ. იონა მეუნარგია, „სხვადასხვა ხასიათების და ნაკლულევანების ერთმანეთთან შედარებაზე და ზრა მარტო სასაცილო ეპიზოდებისა და სიტყვების ხელოვნურად შეწყობაზე, მათ ისეთს გარემოებაში შეჰქონის პოეტი ერთმანეთთან, ისეთს ჩარჩოში ჩავაშს იმათ, რომ ეფექტი (მოქმედება, შთაბეჭდილება) აუცილებელი და სიცილი უეჭველია“.

ეს კომედია ქართულს ლიტერატურაში რეალიზმის გაჩენის პირველი მერტხალია. ავტორი მოქმედი პირების ზურგს უკანაა ამოფარებული და ამ პირთა ლაპარაკით და მოქმედებით ჰქიცხავს თავისს თანამედროვე საზოგადოების ნაკლულევანებათა. მასში აღწერილია სადა, მარტივი ყოველდღიური ცხოვრება, ყველა მოქმედი პირი სინამდვილის შვილია, საშუალო ხარისხისაა. მასში გამოხატული სინამდვილე თვალით სახილველია და არა რომანტიული, არაჩვეულებრივი. მოქმედი პირები არ არიან რაინდები, არამედ უბრალო მომაკვდავი არსებანი არიან. ჩვენს ყურადღებას იქცევს მოქმედი პირების ზნე-დაცუმული და დუხშირი ცხოვრება, მათი პირუტყვული და მხეცური ალლო, მათი მაღალ აზრთა და გრძნობათა უქონლობა. ანდუყაფარი, პავლე და მიკირტუმა ბინძური ქვენა გრძნობებით სავსე ცხოვრების გამომხატველნი არიან... უბადრუკია აგრეთვე ივანე, რომელიც რუსეთშია გაზრდილი, მაგრამ ცარიელი ფრაზების გარეშე არ მიდის. იმას სამართლიანად დასცინის ანდუყაფარი, როდესაც ამბობს:

„თერგდალეული ჩემი ქამია,

იდაჯს შიწყვეტაში, შემომდგომა,

ადარ ისტერებს, არ იშლას გაურას,
სასაფლა ის წააღებს, მინირებს აურას,
ზეარშია აპირებს ჯაზების დაჭრას, .
ჯაზების წალად თუთების ჩაურას!“

ივანე ნატორბს, რომ ჰყავდეს ერთგული შესხერი და
უშენა... სთხოვს უფალს მისცეს შეძლება ყმებმა ისე შეი-
ყვარონ, როგორც შეიყვარა გაბრიელმა (მისი მსახურია)
უპავაა ბაჟზია ბატ დაბრიძის ხარი ი ბედნის ჰომეშჩიკომ! დაგ-
ლოდვადენ შენა უმანა, შეც გეცდებან. კომედიიდამ ცხადად
სჩანს, რომ ივანეს ამ სიტყვების დედა-აზრი შესისხლხორცე-
ბული. ტვალსა და ჩბილში გამჯდარი არ აქვს. ივანე მითაა
სასაცილო, რომ ქართველებს სიყვარულის უნიკობას სწამებს
მყითხველთა და მსმენელთა წინაშე სწორედ პირველს გაცნო-
ბის დროს... მეოთხე მოქმედებაში კი იგივე ივანე თხოუ-
ლობს მიკირტუმას ასულს, რომელსაც ვერ იცნობდა. თხოულობს ანგარიშის გულისათვის, რათა მიკირტუმას ვალი
თავიდამ მოიშოროს... აი რა რიგ დასცინის გიორგი
ერისთავი თაეის თანამედროვე ახალთაობის უმეტესობას.

XII

„დავა“ იკივე „გაყრაა“... ამ კომედიაში საღავო სა-
განი—მამულია. შინაარსით და აზრით „გაყრა“-ზე მაღლა
სდგას.. ტეხნიკის მხრით მასზე სუსტია. დასკვნა კომედიისთვის
თავდება და მოქმედების დასაწყისი კომედიის თავში არის.
ამკომედიაში უფრო გამწვავებულია ძველი და ახალი
თაობის დამოკიდებულება. ამ კომედიაში ბეგლარია ახალ-
თაობის წარმომადგენელი. იგი გატაცებულია მაღალი იდეას
ლებით და კეთილშობილური გრძნობებით. მაგრამ მრ-

აზრთა ლოლიკის წინააღმდეგად მისაჩეცვია ის გარემოება, რომ „სტრიაპჩისთან“ მივიღა ქრთამის მისატანად... ნუ თუ ბეგლარისთანა მაღალგანვითარებული ადამიანი, როგორსაც გვიხატავს ავტორი, ამ სისაძაგლეს ისე ჩაიდგნდა, რომ ერთხელ მაინც ლრმად არ დაფიქრდებოდა ამის შესახებ... ცხადია, რომ ეს ბეგლარი აქ თავისს ადგილზე არაა. ეს „შეშლილის“ ბეგლარია და აქ კი შემოტანილი იმის გამო, რომ ავტორს უყვარს, იმაში ხედავს. თავის მეორე „მე“-სა... იმის ადგილი მთელის მონოლოგებით და მოქმედებით დრამატიულ პოემა „შეშლილ“-შია მეორე წარმომადგენელი ახალთაობისა „დავაში“—მიხეილი—იგივე ივანეა (დიდებულიძე), რომელიც ზემოდ გავიკანით „გაყრის“ გარჩევის დროს; მიხეილი ცივილიზაციის ტანისამოსშია მხოლოდ გახვეული; მის გულს, მის გონებას ის არ მიჰკარებია, მისი სულიერი ბუნება განათლებას არ გარდაუქმნია; ისევ ნახევრად—ველურია... მისი სატრაფიალო სამსახური საშექედრო საშენახურია. მეტად აქებს სამხედრო სამსახურს, რომლის მიმყოლნი ბედნიერი ხასიათისა არიან. „გინდა ქვეყანა უკან გადატრიალდეს“—ამბობს მიხეილი—„ჩვენთვის (სამხედრო პირთათვის) ბურტყლი-ბუმბული არის. ჩვენი ქარიანი ხასიათი სჯობს პოეტობას!“ მოსალოდნელია მიხეილისგან, რომ „სტრიაპჩის“ ქრთამს მისცემს და ეს არც თუ გასაკვირი. იქნება, რადგან მისი ზნეობრივი უვლა-დიდება მეტად ლარიბია...“

გიორგი ერისთავის კომედიებში: „დავა“-სა და „გაყრა“-ში გამოხატულია ორი თაობა: ძველი და ახალი ერთმანეთს ებრძვის... ბრძოლა ძველი თაობის გამარჯვებით თავდება... ძველი თაობის მიერ განკიცხულია ლიტერატურა და განათლება. მას საქმედ მა

მხოლოდ ერთმანეთის . აკლება, დაჩაგვრა და არზების წერა... ჯერ საქართველოს ცხოვრების გარეშემოტყმული წყვდიარი გაფანტული არ იყო, უმრავლესობა ხალხის უმეტების მორევში სცურავდა, — თავად-აზნაურთა უფროსი ერთი ისეთი იყო, როგორც გამოხატულია ერისთავის კომედიებში. ძლიერ ღრმა იყო უმეტების უფსკრული... თითოოროლა შეგნებული ქართველი, ვით აბოლი სული, დატივტივებდა. ქართველთა ერის ცხოვრების და საუკეთესო მერმისის მოლოდინით გამხნევებული უქადაგებდა თანამემამულეებს ახალს აზრებს, იწვევდა ახალი ადამიანური ცხოვრებისკენ. მაგრამ ამისდა მიუხედავად, ჯერ ძველი თაობა ბატონობდა.... ამ ბატონბას ხელს უწყობდა ფეოდალური (ბატონ-ყმური) წეს-წყობილება. ახალი ნელი, ნაბიჯით, ოდნავ ეპარებოდა ძველის სამფლობელოს და ძლივს იკიდებდა ფეხს მის მიწა-წყალზე... ათი-თხუთმეტი წელიწადი იყო კიდევ საჭირო, რომ ახალს „ძველის“ სამფლობელოს ნახევარი ადგილი მაინც დაეჭირა...

„ქენწი“ გადმოთარგმნილი პიესა არაა. ერთი ადგილი, სადაც კარაპეტა შეტრფის. შუალამისას ოქროებს პუშკინის „Скупой рыцарь“-ის ასეთსავე მოქმედებას მოგვაგონებს.. ეს კომედია ყველა კომედიებზე უფრო/კომიურია. ივანიკა და მონაგარისია ნამდვილი ცოცხალი ტიპებია. საუკეთესო ადგილები კომედიაში: რვანიკას მოთხოვნებია აღას ლოცვაზე და მისი ნატერა და „თანთრის“ მოგონება; კარაპეტასგან შეშის მიღება საჩუქრად და მისგან პურის გაკეთებისთვის საჭირო ხარჯის გამოანგარიშება; კარაპეტასივე საბუთები, თუ ქართველს ქალი რატომ არ უნდა მიათხოვოს. ყველა სცენაზე უკეთესია ის სცე-

ნა, სადაც კარაპეტა თავს მოიმძინარებს ყუთში კენჭების ნახვის შემდეგ... ეს კომედიაც ქორწილოთ თავდება. როგორც ერისთავის ყველაზე კომედიები.

კარაპეტას და **არჩილის** (სასიძო კარაპეტასი, ქართველი) სცენაზე გამოყვანით გიორგი ერისთავმა დაგვიხარა თვისი თანამედროვე ცხოვრების სურათი... ის რას ეუბნება არჩილი თავის ხმალსა, რომელიც მამა-პაპისგან აქვს გადმოცემული:

„შოგედ, შეშერტევი შას შეიღიშვილსა,
დეკოდა და სხარსოა ვეჭრიდე, გიო ცეილსა,
შთაბერე შისი შენ ვაჟვაცობა.

შისი სახედი, ჰატიოთსნება!“

ავტორმა კარაპეტას გააკიცხვინა არჩილის რაინდული აღტაცება. ის ამბობს: „ბეჭანებით, ქართველს ფულა არ უნდა. სედამთ ჭანგიან რეინაზე რასა ბოდამს... ჩემს დქოფებს თვალდით არ უუკრა“. ავტორმა კარაპეტა. ისე დაგვიხატა, რომ ცხოვრების მოთხოვნათა და ღროს ხასიათის შეგნებით მაღლა სდგას ქართველს თავადს არჩილზე... ეს ის ღრო იყო, როდესაც შრომასა და კაპიტალს შორის ბრძოლის დაწყება მოახლოებულიყო... მომავალიც იმ ერს დარჩებოდა, რომელიც ახალი ღროის ხასიათს შეიგნებდა და თვისი ცხოვრების ნავს. იქით გააქანებდა, საითაც მის გაქანებას ეს ახალი ღრო მოითხოვდა. ეს ჰეშმარიტება შეგნებული ჰქონდათ მოწინავე ქართველებს, რომელთაგან ერთი, სახელდობრ, ალ. ორბელიანი ჯერ. კიდევ 1859 წელს ამბობდა: „დღეს თოფის და ხმლის შაგიურ სწელა-განათლებაა საჭიროდა“. სამართლიანად შენიშნავს კრტა აბაშიძე ერისთავის კომედიების გარჩევის დასასრულში: „გორუგი ერისთავმა ქართველ ერს ის ამცნო, რომ

დროა ცხოვრების ახალი მოთხოვნილებას შეეთვისოს, გაი-
გოს დროის საჭიროება და თავი დაანებოს საუკუნოებით
შეთვისებულ რაინდულ ოცნებებს, რაღვან იგი ოცნებები
დღეინდელ დღეს გამოუყენებელი. და სასაცილო არის".
გ. ერისთავი, რომ ზოგიერთში მართალი იყო, ამას დღე-
ვანდელი ჩვენი ცხოვრება გვიმტკიცებს. ჩვენ ჩამოვრჩით
მეზობელ ერს ეკონომიურად. ამის უმთავრესი მიზეზია
ჩვენი ერის დაუდევრობა, აპატია, სისუსტე, უენერგიობა.
არავინ არის ვალდებული გამდელობა და ლალაობა გა-
გვიწიოს... ჩვენი ენერგიით, ჩვენი შრომით, ჩვენი თფ-
ლით ჩვენი მყობადი უნდა თვით გამოვჭედოთ.

მივაქცევთ ყურადღებას იმერელს ბიჭს, რომელიც
ერისთავის კომედიებში ხშირად გვხვდება... სომხისა. და
იმერელი ბიჭის გასხვანაირებული, კილომოქცევით ლაპა-
რაკი ერისთავის კომედიებში კომიკური ელემენტის განმა-
ძლიერებელია, მაგრამ ესევე უჩვენებს ამ კომიკური ელე-
მენტის ძლიერ სისუსტეს. გ. ერისთავს სურს ზოგიერთგან
აცინოს მსმენელი დამახინჯებული ქართული და რუსული ლა-
პარაკით. და არა მოქმედების სიცუდის იუმორიულად დახა-
ტვით . . . დღეს კომედიაში ამ ხერხს არავინ მიმართავს
საქართველოში, და მას არც თუ ექნება გასავალი.

1450 წლებში იმერელი ბიჭი ქალ. თფილისში, ახა-
ლი მოვლენა იყო. ის მოწინავე ქართველმა : მწერალმა
თითქმის სასაცილოდ აიგდო და სკენაზე სამასაროდ გა-
მოიყვანა, მაგრამ ეს. იმის ბრალია, რომ საკითხს ღრმად
არ ჩაუკეირდა, მისი გამომწვევი მიზეზების გამოკვლევას
არ შეუდგა... მაგრამ იმერელი ბიჭი თფილისში სრულიად
შემთხვევითი მოვლენა არ არის; პირიქით, იგი შედეგია
რთული ისტორიული და სოციალური პირობებისა, რო-

მელშიაც იმყოფებოდა იმერეთის გლეხ-კაცობა მეცხრა-
მეტე საუკუნის პირველ ნახევარში. ცნობილია, რომ აქ
ბევრად უფრო შეწუხებული იყო გლეხკაცობა ბატონ-
ყმური ურთიერთობის გამო, ვინემ ქართლ-კახეთში. აქ
გლეხკაცობაში რაღაც საოცარი და წარმოუდგენელი სი-
ლატაკე სუფევდა. შეწუხებული გლეხი ივიწყებდა ყველა-
ფერს და გარბოდა თავის ქვეყნიდამ. თფილისი ითვლებო-
და უმთავრეს თავშესაფარ ადგილად ასეთ გადავარდნილ
უთვისტომო კაცებისთვის. საღაც უნდა შესულიყავით
თფილისში, ყველგან ნახავდით იმერელ ბიჭ. ადვილი
წარმოსადგენია, თუ როგორ შეინახავდენ ასეთ უთვისტო-
მო ბიჭებს, რომლების პატრიონი არავინ იკოდა. იმას ყვე-
ლა ჩაგრავდა, თვით მოსამსახურეებიც კი იმას სასაცილოდ
და სამასხაროდ იღებდნენ. რა ექნათ? მათი დაცუველი,
მათი მოსარჩელ არავინ იყო. ისინი განიცდიდენ შიშილს,
წყურვილს, სიცივეს, ცემას, დაცინებას. ვინ მოსთვლის
რამდენი დამტირება და აგდება აუტანიათ იმერეთიდამ
გადმოხვეწილთ თფილისში. სამწუხაროც ის არის, რომ
თვით მწერლობამაც^{*)} შეითვისა ასეთი მოქცევა იმერელ
ბიჭთან და საზოგადოთ იმერელთან, ვინც უნდა ყოფი-
ლიყო ის. ქართველ მწერლებს იმერელი მაშინ გამოყავთ
თავიანთ ნაწერებში, როცა მკითხველსა ან მსმენელში
საჭიროა უზომო სიცილ-ხარხარის გამოწვევა...* ეს გარე-
მოება ჩვენ მიგვაჩნია ქართულ ლიტერატურაში უწესო
და მახინჯ მოვლენად, რომელსაც, სიმართლე უნდა ვთქვათ,
უკვე ბოლო მოელო. არ შეგვიძლია აქვე არ გავიხსენო,
რომ ილ. ჰავჭავაძემ თავის „მუშა“-ში საუცხოვოდ და-
გვიხატა იმერელი მუშის სულიერი ტანჯვა და მისი ეკო-

*) ფ. მახარაძე.

ნომიური შეიწროება. მანვე „გლახის ნამბობში“ დაგვისურათა სწავლა-ცოდნის მოყვარე იმერელი გაბრიელი, ეს მაღალი გრძნობებით და საღი შეხედულებით დაჯილდოვებული გვამი.

„გაყრა“ — შისა შინაარსი: მასშია გამოყვანილი ოთხი ძველი ქართველი მებატონე: ანზუყაფარი, პავანე, ივანე და ბარძიმი. პირველი სამი ლვიძლი ძმაა; უკანასკნელი კი მათი ნათესავია. ერთი მათგანი ივანე რუსეთიდამ ახლად მოვიდა, ცოტაოდენი რამ ცოლნა შეიძინა იქ, დიდხანს ჭარშავაში ’ცხოვრობდა. ყველა ესენი ერთმანეთს მტრობენ და უთანხმო ცხოვრება აქვთ. სიამტკბილობით გაყრა არ უნდათ და აქვთ ერთი უთავბოლო; დაუსრულებელი ლანძლვაგინება ზურგს უკან. ანდუყაფარი — ძველი პატრიარქალური მებატონის ტიპია; ის თავის ძმა პავლეზე უფრო წინააღმდეგია გაყრისა; რასაც ოჯახის აოხრებას ეძახის; გაყრის მიზეზს (ივანეს) უწოდებს უგულო და უსულო „ეგოისტს“ (თავმოყვარეს), რომელსაც ნათესაობა და შეილური სიყვარული არ სწამს. ამის გამო რუსეთში შეილთა გაგზავნის დიდი წინააღმდეგია, რადგან იქ კარგს არას ისწავლიანო. გაბრაზებული ანდუყაფარი რჩევისთვის თავის მოურავს, სოფლის წურბელის მიმართავს. ივანე საცინლად იგდებს ანდუყაფარს და ამახინჯებს იმის სახელს; სოფლის მას მხეცად... ველურ ადამიანად, პავლეს ძეანე უწოდებს კეთილს, მაგრამ ტუტუცს. ის ქირდვით ეპყრობა ძმების ჩვეულებებს და ადათებსა, — საცინლად იგდებს მათს მეურნეობას და სხვადასხვა განკარგულებას. ეს გარემოება უფრო აბრაზებს ანდუყაფარს და გაბრაზებული ერთი კიდევ შეუკურთხებს რუსულ განათლებას, რომელიც იმის აზრით, ქართველ ახალ თაობას შეამავს. დიდის რი-

იქან, ბეჭედი — მუხა — პატივი

ხით ამბობს, რომ მოზღვეული^{*} ისიც იყო, მაგრამ კული-დამ კი არ შეიშალა. მესამე ძმა პავლე მეტად ცოცხალი ტიპია. ის გაგიუცბულია ძალებზე, მათ თან ჰყვება; იმათ გარდა გატაცებულია ქორებით და მიმინოებით არაფერს აქვთებს, არავითარს ფურადლებას არ აქცევს მეურნეობას; მისი ფიქრი და საზრუნავია, რა რიგ მოახერხოს, რომ საღმე ან იშოვოს და ან მოიპაროს ახალი ძალი. რო-დესაც მედიატორების თანდასწრებით სახლში გაყრა ხდება, როდესაც თვითონეული ძმათაგანი ცდილობს ხელთ იგდოს უფრო კარგი და გემრიელი წილი, როდესაც პავ-ლეს ცოლიც კი, დედაკაცი აზრიანი, ერევა ქაქმეში, პავლე თითქოს ცოტა ხნით ივიწყებს ქორ-მედებრებს და გართულია ვითომდა საქმით. როდესაც ერთმა მედიატო-რეთაგანმა განაჩენის კითხვა დაიწყო, ოთახში შემოვარ-დება იმერელი — მსახური, მეტად შეშინებული და აცნო-ბებს, რომ მიმინო გაფრინდაო. პავლე ივიწყებს ყველა-ფერს და გამოვარდება გარეთ ისეთი სიჩქარით, რომ შინ მყოფებმა ვერას გზით დააკავეს. თანაც მათ, ვინც არ უშვებდა სირბილის დროს მიაძახა: გაგიუდით, მიმინო მა-კუტაძემ გამომიგზავნაო, რა დროს გაყრაზე ფიქრიაო. მა-შინ დაწყნარდება, როდესაც დაიჭერს მიმინოს და შინ მოიყვანს. როდესაც გაყრის თაობაზე კამათი და შეხლაა, პავლე იცქირება ფანჯრიდამ და შეხარის ძალების სირ-ბილს და თამაშს. როცა ანდუყაფარი შენიშვნას აძლევს და ურჩევს საქმის მიმდინარეობას ყურადღება მიაქციოს, პავლე თავის ჯერანას (ძალის სახელია) აქებს და იმის

*) ქართლელს არ უყარს შორს წასვლა თავის ქვეყნიდან. ის თითქოს კარჩაკეტილია. ამის გამო მისი გეოგრაფიული ცნობები შეზღუდულია: აზრუმისა და მოზღვეულის იქით ვერ წასულა.

ზტუნვას შეხარის და თავის ძალის ძმების ძალლებზე მაღლა აყენებს. პავლეს ტიპი პირდაპირ ცხოვრებიდამ ამოგლეჯილია და საუცხოვოდ დასურათებული. მისი თითოეული სიტუაცია და თითოეული მოქმედება ამას მოწმობს. პავლეს ცოლი, რომელიც, ქმრის აზრით, თამარ მეტეს დროს რომ ყოფილიყო, მისი ვეზირი იქნებოდა, იმწაირის ხელოვნებით უხვევს თვალს მედიატორებს, რომ მის სასაჩვებლოდ მოქმედებენ და მისი მაზლები პირში ჩალაგამოვლებული რჩებიან. პავლეს ძმები ამას გრძნობენ და ბრაზდებიან... მედიატორებს აგბნებენ და ამტკრევენ ადვილად დასამტკრევს ნივთებს, რომელიც პავლეს წილად უნდა შეხვედროდა. ამით საქმე არ თავდება. ივანე აგინებს თავის ძმას პავლეს და იმის ცოლს, ხოლო ანდუყაფარი იქამდის მიდის, რომ მათ ხმლით, შეუტევს. ძმების ჯიუტობა იქამდის მიდის, რომ არც ერთს მათგანს არ სურს დაუთმოს მეორეს მუთაქა, რომელსაც ნაწილნაწილად სჭრიან. ✓

როგორი იქნებოდენ ასეთი მებატონეები გლეხებთან დამოკიდებულებაში? გლეხები მებატონეთა მძლავრობის ქვეშ იტანჯებოდენ... მებატონეს ქეიიფზე იყო დამოკიდებული რამდენიმე ათასი გლეხის ბეჭილბალი... არათუ მხოლოდ მებატონეები აიწროებდენ გლეხებს, არამედ უკანასკნელთა ძმაც. ბარაში, ანდუყაფარის მოურავი, გლეხთაგანი, რომელიც ურჩევს ბატონს გლეხებისაგან ფული აკრიფოს და მოსამართლეები მოისყიდოს. ყარდაშვერდი ურჩევს თავის მიჯნურს გაბრიელს („დავა“) სთხოვოს ბატონს მოურავის ადგილი, რაღვან მაშინ იმის ხელში იქნება პურიც და ლვინოც; ამას გარდა შემოსავალიც არ მოაკლდება: ვისაც მებატონე ჭაარბევას, დანატბევის ნა-

ხევარი მოურავისაა. ის მებატონის მენახევრეა. ოოდესაც გაბრიელი, ოომელიც დიდს ხანს უცხოეთში ცხოვრობდა და თავისი ქვეყნის წესებს ვერ იცნობდა, გაკვირვებით ეუბნება ყარდშავერდის, ეს როგორ შეიძლება, ამის ნებას ბატონი არავის პისცემსო, ყარდაშვერდი სრულის ოწმუნებით ეუბნება: თუ ასე არ ჰქენით, შენცა და შენი ბატიონიც შიმშილით დაიხოცებითო... „დავა“-ში გამოყვანილია ერთი იმერელი მცირე შეძლების პატრონი აზნაური ლომინა, ოომელიც ბევრს ლაპარაკობს თავის ნადირობის შესახებ იმერეთში და თანაც სიამაყით დასძენს, ოომ თავის მსახურს — გლეხს უბრძანა დილით აღრესაუზმის მომზადება და დაემუქრა, თუ ამას დაუყონებლივ არ შეასრულებდა, მთელ მის ოჯახს (სახლობა), როგორც ბოლოკს, ისე აღმოფხვრიდა“. კიკოლა მარტინუზას მოსახურე („უჩინ — მაჩინის ქუდი“) ნატრობს ომში სახელის გათქმას, შამილის დაჭერას; ჩინებს და ორდენებს, ლენერლობას და გუბერნატორის ადგილს. რისთვის? აი რისთვის: დაჯდება გუბერნატორად ქუთაისში, მოვა მასთან მისი ბატონი და დაიხრის მდაბლად თავს. ის კი ამაყურად ჰქითხავს, რა უნდა? ბატონი გაულიმებს და მოფერებას დაუწყებს. ვეტყვი: „Завтра пришепелъ“ და ასე ამნაირად იძულებულ ჰყოფს ყოველ დღე ეთრიოს მასთან. ამ სიტყვებში გამოიხატება უძლური გაბოროტება, რომელსაც ახსოვს შეურაცხყოფა, მაგრამ ძალა და საშუალება კი არ შესწევს სამაგიერო უზლოს. ამას ნატრობდა არა თუ მარტო გლეხის შეილი, არამედ თავადის და აზნაურისაც. იმ დროს თავადის იდეალს შეადგენდა: „ზასედატლობა“, „დიამბეგობა“, „ისპრავნიკობა და სხვა თბილი ადგილი, სადაც შედარებულიად და აუმღვრევლად

ეცხოვრა და მოძმეთათვის ტყავი ეძრო. ილ. ჭავჭავაძის „ხეს საშარადას“ სწორედ იმ ხანას ეკუთვნის, რომელ-საც ეკუთვნის გ. ერისთავის კომედიებიც. ილია ჭავჭავაძის დიამბეგი სამარილაშ იძახის: „საშართალს ფულითა გქრა: დი, გროშისავის კაცსა გავეიძლი და ჩემს ჯიბეს წელიერ კ'ხრდიდი. უხშოსთან ხშანა ვიყავ და უსიტყვა ხშანთანა“ და სხვა ათასი სისაძაგლე ჩაუდენია ცხოვრუბაში. თითქოს ქარ-თველი იმისთვის იყოს დაბადებული, რომ არ იშრომოს, ოფლი არ ღვაროს, პრაქტიკულს მოღვაწეობას, ვაჭრო-ბას და შრეწველობას გაურბოდეს, ჩინის და ორდენების ძიებაში ატარებდეს მოელ. ცხოვრებას და მათ გარეშე არა იკოდეს-რა. ფულის მოხმარების ნიკიც თითქოს არა ჰქონ-დეს. კეშმარიტად იგი რაინდია, მხოლოდ გზას ამცდარი, უსაქმური!.. გადაშენების გზაზე დამდგარი იყო მოწინავე წოდება გიორგი ერისთავის დროს...

„დავა“-ს გმირები ისევ ძველი მებატონეებია — ამი-რინდო და ონოფრე, რომლებსაც დავასა და აპელაციის მიცემაში ამოსდით სული. თვითოვეულს მათგანს სურს მეო-რე მოსპოს, ამ მიზნის ხორცესასხმელად არაფერს. ზრ-გვენ, უკანასკნელ კაპეიკასაც. კი არ ინანებენ. უველგან ქრთამებს სჩრიან უველას, რომელსაც მათი აზრით აქვს რაიმე დამოკიდებულება მათს სადავო საქმესთან. მოხე-ლენიც სარგებლობენ მოხერხებულად ამ ორი მებატონის უვიცობით, რომელთაც არც კი იციან „ტოჩა“ და „ზა-პიატაია“, კანონი თუ სხვა რამე. თვითოვეული მათგანი ქონებრივად იღუპება იმის გულისთვის, რომ მეორემ არ აჯობოს და თავისი მტერი ამით არ გააცინოს. ამირინდო პირდაპირ ამბობს, რომ ას მანეთს კი არა, ათასს მისცემს, ოლონდ ონოფრე ცალიერ-ტარიელი გაუშვას, მშრალზე

დასკას. მზადაა თავისი თავი დაიღუპოს, ოლონდ ანოფ-
რე ლარიბ-ლატაკი გახდეს... მაგრამ ორი გადამტერებული
ქართველი მათმა შვილებმა გადაარჩინეს: ეს შვილნი ურთი-
ერთის მეგობრები არიან. ბავშვობიდანვე, ერთს სკოლაში
აღზრდილნი და კრიტიკული თვალით უცქერიან მამათა
საქციელს. ამის გარდა ერთ მათგანს მოსწონს. მეორეს
დაც და საკოლოდ უნდა. ამის მეოხებით საჭმე მშვიდო-
ბით დაბოლოვდა. დავა ნათესაური კავშირით დამთავრ-
და. „დავა“-ში ორ მებატონის გარდა ვხედავთ კიდევ მოყ-
რუებული სოფლების შვილებს, თავად-აზნაურთა ჭრდები-
სას: იაის, ამირინდოს მეგობარს და ლომინას. იმერელ
აზნაურს. იაი ოდესლაც იყო ქალაქს ტფილისში, როდე-
საც ის სხვა კუთხეთაგან არაფრით განსხვავდებოდა. ახლა
კი, მეორედ ნახვის ჟამს, მალე აკერძოებს როგორც თფი-
ლისის გარეგანი მხარე, ისე ის ცვლილებანი, რომელნიც-
განუცდიათ მის. მცხოვრებლებსა. აკვირებს ის გარემოება,
რომ აქ აღარაა „სალაყბო“, სადაც ძველიად ხალხი ახალ
ამბებს ტყობილობდა, არა თუ აღარ არის, არც ვინმეშ
იცის, თუ ოდესმე არსებობდა. ქლოკი გაზრდილა, დიდი სახ-
ლებით შემკობილა; მათში მრავალი ოთახია ერთი სახო-
გადო ოთახის მავივრადა. აკვირვებს ახალგაზრდანიც, რო-
მელნიც ნემეცთა პატრებს დამსგავსებიან; და ადარ
სტენ; ეს შედა ადარაა. და გაყვითლებულ-გაფიტრებული
დადიან ამის გამო, როგორც სანთლიდამ მომზადებული
ფიგურები. დამახასიათებელი საუბარია მთელი მაშინდელი
თაობისა... ღვინოს ის თაობა სთვლიდა — ჯანის სისაღის წე-
რთვა, ღვინისგან შეწითლება მას — შეცდომით მიაჩნდა სიმრ-
თელის ნიშნად... 7

ახალთაობა მაშინდელი, გ. ერისთავის დროისა, სჩანს, მიხვდა ლვინის მავნებლობას და მის სმახე. ან ხელი აიღო და ან ზომიერად სვამდა. რასაკვირველია, ლუარსაბ, თათქარიძეებს ეს გარემოება არ ეჭაშნიერებოდათ. იაიაც სწორედ მათ ჯგუფს ეკუთვნის.. იაის უკვირს გვიანი სადილები, ოთახების ახალი მორთულობა და სხვა ყოველივე წვრილმანი, ლომინამ კი თფილისი პირველად. ნახა და მისი სიღიღით გაკვირვებულია. სასაცილო ამბებს გადმოგვცემს, მოგვაგონებს დიდ ბავშვს. რალაც არაბუნებრივი ტიპია, უფრო ხელოვნური.

გიორგი ერისთავი მიხვდა, რაგვარ შინაარსის კომედიები დააკმაყოფილებდა მის თანამედროვე საზოგადოების გემოვნებას. მშობლიურ ჩვეულებათა და სურათების აღწერა მისთვის. ასეთს დამაკმაყოფილებელ და მიმზიდველ საგანს შეადგენდა. ევროპის ხალხთა ცხოვრებიდამ ამოღებული შინაარსი ახლად გამოლვიდებული ქართველის გემოვნებას ვერ დააკმაყოფილებდა. მან. იდგილობრივ ცხოვრებიდამ ბევრი დამახასიათებელი. ცოცხალი სურათი ამოიღო, მისცა ადგილობრივი ელფერი. შეაზავა ადგილობრივ სახუმარო კილოთი და მით გახადი საინტერესო მისაზიდი ადგილობრივ მცხოვრებთათვის. ამ სახით ქართული თეატრის საძირკველი ქართველი ხალხის სულსა და გულში ჩაიდგა, მისი კედლები აღშენდა ქართველი ხალხის სინამდვილეზე; ის იმ თავითვე გახდა ქართული რეალობის, სინამდვილის გამომხატველიდ და ქართველთა დიდებულ მოძღვრად და მასწავლებლად... მის კომედიებში საუცხოვო დახასიათებაა, მაცოცხლებელი დაცინვა და აღვილად გასაგები ხალხური ენა, რომლის ნიმუში ჯერ კოდევ მეოვრამეტე საუკუნეში დაჭით გურამიშვილმა მოგვ-

ცა. („ქაცვია მწყემსი“ და მისი ლირიკული ლექსები). რუსთა პოეტი პოლონესკი აი რას ამბობს ქართული თეატრის დაარსების შესახებ: „იმ დღეს, როდესაც კომედია „გაყრა“ გამოჩნდა ხურნაზე, უ იანვარს, თამამად შეგვიძლია ვუწოდოთ შექმნის პირველი დღე, კეშმარიტი ქართული ლიტერატურის დასაწყისი, მაღლით მოსილი მახარებელი იმ გარემოებისა, რომ არევდარევა ლიტერატურაში მოისპო, რომ დადგა დრო, როდესაც უფრო და უფრო შეუძლიათ ქართველებს, მეცნიერებათა — აღორძინება და ხელოვნებათა კი — აყვაუება!“

XIII.

სიმართლე მოითხოვს ვსთქვათ*), რომ გიორგი ერისთავს მაღე დაეტყო დალლილობა. ვორონცოვის გადაყვანის შემდეგ თვით დაანება თავი სამსახურს და გადასახლდა ვორის ახლოს, სოფელ ხიდისთავს, თავის მამულში. თავი მიანება თეატრსაც და ერთად-ერთ ქართულ უურნალს „ცისკარს“, რომელიც თვითვე დაარსა. ისე გამოდის, რომ პირველიც და მეორეც თითქოს მხოლოდ ადმინისტრაციის და მისი სუბსიდიის შემწეობით იყო დაარსებული. გიორგი ერისთავმა ვერ გამოიჩინა ბოლომდის თვისი საყვარელი საქმის სიყვარული და ხასიათის სიმტკიცე. ვერ შესძლო ის საქმე, რომელიც უყვარდა, მტკიცე ნიადაგზე დაეყენებინა. ქვა და გუნდა მიაყარა და გადასახლდა სოფლად; თფილისში ხანდახან თუ ჩამოვიდოდა... სჩანს, გ. ერისთავმა ქლიერ კარგად იცოდა, რომ მსახიობობას ქართ-

*) იხ. ნიკ. ავალიშვილის წერილი: „ჩვენი თეატრის გაფეანედან“, დაბეჭდილი გაზეო „დროება“-ში.

კელთა შორის არსებობის საქმაო ნიადაგი არ ჰქონდა ჯერეთ პოპოებული და მანაც ბოლომდე არ აიტკივა თავი თეატრისთვის, მსხვერპლიდ არ შეეწირა ამ საქმეს. ყოველივე ეს აღძად მის ძალას და მსოფლმხედველობას აღმატებოდა.

თეატრის და უურნალის საქმე იმის შემდეგ თავს იდვა ეროვა ლარიბ-ლატაქმა, მაგრამ კეთილშობილმა და უანგარო მოღვაწემ ივანე კერუსევაიქში. მან ვალი აიღო და წარმოდგენების საქმე მოაწყო. ექვსი თვის განმავლობაში წარმოდგენები იმართებოდა... იქამდის მივიღა საქმე, რომ თეატრი და თეატრის მთელი მოწყობილობა კერუსელიძეს ვალში გაუყიდეს. მთელი ვალი ვერ გაისტუმრა. და ჯამაგირიდან ნაწილს უკერდნენ (თფილისის პირველ გიმნაზიაში ქართული ენის მასწავლებლად იყო). მას ყველა გაურბოდა. თვით გიორგი ერისთავი, როგორც ივ. კერუსელიძე ამბობდა, — როდესაც თეატრის ნიკოლებს საჯაროდ ჰყიდდნენ, თფილისის ბულვარზე არხებინად დასეირნობდა...

1857—1867 წლებში ქართული წარმოდგენები კანტი-კუნტად იმართებოდა. იქნებოდა სულ ათიოდე წარმოდგენა... 1867 წელს დაიბადა აზრი ერთ პატარა წრეში ქართული თეატრის მკვიდრ ნიადაგზე დაშყარების შესახებ. ახლად დასაარსებლად განზრახული „მნათობის“ რედაქტია ამ წრის სულის ჩამდგმელი იყო. სემინარიის და გიმნაზიის მოწაფეები. ამ წრის მისწრაფეებს ძლიერ მხურვალე თანაგრძნობით ეკიდებოდნენ. პატარა წრე 1867 წელს წარმოდგენები დაიწყო; ძნელს საქმეს. შეეჭიდა... ამ წრეს სახელი არ ჰქონდა საზოგადოებაში, არ მოეპოვა ბოდა შენობა. წარმოდგენათა და რეპეტიციისთვის, ძნელად შოულობდნენ ქალებს, როლებისთვის... თუ შოუ-

ლოპდნენ, იმასაც ფასით, და ისეთებს, რომელთაც ქართული ენა არ იცოდნენ (სომხის ქალებმა არამიანცისა და აბრამიანცისამ). დიდის გაჭირვებით განაგრძო პატარა წრემ საქმე 1868 წლის გათავებამდის... ნივთიერ სახსარს, მოკლებული იყო ეს წრე, მაგრამ საქმეს არ ეშვებოდა. თანაგრძნობის ნაცვლად, საზოგადოება დასკინოდა მის წევრთ „ბიჭ-ბუჭებს“ და გიუებს ეძახდა...

თ. კოლა ხერხეულიძე, ლადო აბაშიძე და ვასო თარხნიშვილი, გიგო ორბელიანი და მისი მეულლე ნინო ორბელიანისა (პოეტი) დიდი თანამერძნობელნი იყვნენ თეატრისა. ისინი თავის სახლებს უთმობდნენ კრებისა და რეპეტიციებისთვის. გიგო ორბელიანი რეჟისორობდა, ხან როლებს ასრულებდა, ნინო ორბელიანისა — ქალებს აგულიანებდა სამსახიობო მოღვაწეობისათვის. მისი გავლენით ბაბო ხერხეულიძე, რომლის ძმის კოლას სახლში იმართებოდა ყრილობები და რეპეტიციები, ქართული სცენისადმი. სიყვარულით იმსკვალებოდა და შემდეგში მართლაც გაპხდა ამ სცენის დამამშვენებლად.. 1868 წელს აკაკი წერეთელიც მიეშველა თეატრის საქმეს. ორი წარმოდგენა გაიმართა დიდი გაჭირვებით არჩილ მუხრან-ბატონის სახლში... მაგრამ კანტი-კუნტ წარმოდგენებს არ ჰქონდათ საზოგადოებრივი ხასიათი, მათ არ მოეპოვებოდათ საძირკველი ხალხის შეგნებაში. თითო-ოროლა ინტელიგენტს გარდა (აკაკი, ანტონ ფურცელაძე, პეტრე უმიჯუშვილი და სხვა...) დანარჩენი ინტელიგენტები საცინადი ივლებდნენ იმ პატარა წრეს. რომელსაც დიადი საშვილი-შვილო საგანი ჰქონდა დასახულო. ასე გასინჯეთ, ის ერთად ერთი ქართველი თავადის ქალი ბაბო ხერხეულიძე, რომელმაც გაბედა სცენაზე გამოსვლა, არა სასიამოვნო

სტუმარი შეიქმნა მონათესავე ქალთა და კაცთათვის. სულ 40 თუ 50 ქართველი, თუ იქნებოდა იმ დროს თეატრის აღმოჩენების მომხრე... 1870 წლის დასაწყისში შაქრო მაღალაშვილის სახლში მოწვეულ იქნა ქართველი ინტელიგენტების ყრილობა, რომელმაც ამავე მაღალაშვილის ღრმად და კვირვებული სიტყვის შემდეგ აირჩია ქართული თეატრის საქმის გასაძლოლად კომიტეტი, რომელსაც შეადგენდნენ ვახტანგ თულაშვილი, ანტონ ფურცელაძე და ნიკ. ავალიშვილი. მის შემდეგ დრამატიული წრე კვლავ მართავდა წარმოდგენებს სხვადასხვა ადგილის. ქალებს სასკენოდ ვერ შოულობდნენ. ბაზო ხერხეულიძეს გვერდში ამოუღა ელენე ბროდელის ასული ანტონოვსკია, რომელზეც გასკრა პირველის დიდმა მუდარამ სკენაზე გამოსვლის შესახებ. ერთი სომხის ქალი სოფიო ნაზარიანცისაც იღებდა მონაწილეობას ქართულ წარმოდგენებში.

1872—1873 წლებში ქართულ თეატრს მეტის ყურადღებით ექცეოდა ქართველი ინტელიგენცია... მას თანდათან ედგმებოდა საძირკველი მის შეგნებაში... ხალხიც მეტის თანაგრძნობით ეკიდებოდა თეატრის საქმეს და წარმოდგენებს... დრამატიულ წრეს შეემატნენ კოტე ყიფიანი, ზაალ მაჩაბელი, გრ. ტარიელოვი, დ. აბულაძე. დიდ დახმარებას უწევდა ქართულ წარმოდგენებს აგრეთვე სომხის არტისტი — მოლვაწე გეურე ჩიმიშვიანი... ამავე დროს ახალი ქალები შეემატნენ ჩვენს თეატრს: ელენე და მარიამ ყიფიანები, ელისაბედ და ოლღა ყაზბეგები, ბაბო კორინთელი (აწ მეუღლე გრ. ყიფშიძისა) და სხვანი... 1877 წელს დრამატიულმა წრემ, როდესაც გაითვალისწინა ქართველ საზოგადოებაში თეატრისადმი თანაგრძნობის თანდათანი ზრდა, განიზრახა საქმე უფრო გამოეშვე-

ვებინა და მისთვის ოფიციალური დაწესებულების სახე
შეიტა. 1869 წლის კომიტეტი საამისოდ არ გამოდგებო-
და. 1877 წელს დაარსდა ნამდვილი დრამატიული კომი-
ტეტი, რომელსაც შეპდგენდნენ გიორგი მიხ. თუმანიშვი-
ლი, იოსებ ბაქრაძე (მგოსანი) და ნიკ. ავალიშვილი...
კომიტეტში მონაწილეობის მიღება ეთხოვა ილია ჭავჭა-
ვაძეს, კონსტ. მამაცაშვილს და გიორგი ქართველიშვილს.
1878 წელს კომიტეტში შევიდნენ. ახალი წევრები: დავ-
გ. ერისთავი და დავ. სარაჯიშვილი; 1879 წელს არჩეულ
იქმნა ახალი კომიტეტი, რომელსაც შეადგენდნენ: დიმ.
ყიფიანი, გ. მ. თუმანიშვილი, ალ. სარაჯიშვილი; იოსებ
ბაქრაძე და ნიკ. ავალიშვილი. კომიტეტმა გადასწყვიტა
ქართული თეატრის საქმე მტკიცე საფუძველზე დაემყა-
რებინა.... გადასწყვიტა რეპერტუარის გამდიდრება,—
მსახიობთა დაჯილდოება, ტანისამოსის და სხვა საკირო
მასალის. შეძენა და ასე გასინჯეთ, საკუთარი შენობის
აგებაც. გადასწყვიტა — ალარ ემართნა საქველმოქმედო წარ-
მოდგენები; რომელნიც ასე ხშირად იმართებოდა წანა
წლებში... დრამატიულ კომიტეტს თანდათან ემატებოდ-
ნენ ახალი წევრები: იოსებ ანდრონიქაშვილი, ნიკ. ჯორ-
ჯაძე, გრ. ყიფშიძე, ალ. როინაშვილი, ად. ჩუბინაშვი-
ლი, ას. ცაგარელი, კოტე მესხი, ვლ. ალექსი-მესხიშვი-
ლი, ალ. ნებიერიძე, ქალები: მარიამ საფაროვი (აბაში-
ძისა), ნატ. გაბუნია (ცაგარლისა), ქალბ. მერკულოვისა...
ქართული თეატრის საქმე იზრდებოდა ქართველი

საზოგადოების გონებრივ და მოქალაქობრივ ზრდასთან
გასწევრივად... გიორგი ერისთავის და მის თანამედროვე
დრამატურგთა ნაწარმოებში შეტი წილი ოხუნჯობა იყო.
ყოველი პიესა ქორწილით და ლეკურით თავდებოდა.

ასეთი სახიობა უფრო გამართობელი იყო, ვიდრე ლრმად-ჩამაფიქრებელი და გრძნობა-გონების მწრთვნელი. სკუნი-ურ შთაბეჭდილებას ახდენდა უშვერი ოხუნჯობა და ქარ-თული კილო გადაბრუნებული, მოქცევით ლაპარაკი.

ვაშინდელი ქართველი საზოგადოება (1840—1855 წლებისა) თეატრს მეტს ვერას მოსთხოვდა. როგორი გო-ნებითი სალარო ჰქონდა ქართველ საზოგადოებას, ისეთივე შინაარსის იყო მაშინდელი პიესები, ვიტყვით მეტსაც, თვით პიესები თვისი შინაარსის და აზრების მხრით გაცი-ლებით მაღლა იდგა მაშინდელი საზოგადოების გონებრივ და ზნეობრივ მოთხოვნილებაზე. მესამოცე წლებში ქართ-ველმა საზოგადოებამ დიდი ნაბიჯი წარსდგა წინ სული-ერ წარმატებაში. დაიბადა სხვა აზრები, გაჩნდა სხვა მსოფლ-მხედველობა, თავი წამოყო სხვა მოთხოვნილებამ, სახიო-ბამაც ასეთს სულიერ წარმატებასთან შედარებით უფრო სერიოზული მიმართულება მიიღო. ითარგმნა მოლიერის „კომედიები“ („სკაპენის ცულლუტობა“, „მალათ ექიმი“). თუმცა ამ კომედიებში ბევრი ლრმა აზრი და გრძნობა იყო ჩაქსოვილი, მაგრამ მათშიც ხალხის გამართობელ ოხუნჯობასაც დიდი ადგილი ჰქონდა დათმობილი.

იმ დროის პიესებში ვერ ნახავთ ქართველთა ცხოვ-რებიდამ ამოლებულ სურათებს და მის ძირითად ნაკლუ-ლევანებათ...

სამოცდამეათე წლებში ქართველმა საზოგადოებამ ერთი ნაბიჯი კიდევ გადასდგა წინ სულიერი განვითარების საქმეში.. გამოდიოდა გამოცემანი: „დროება“, „სასოფლო ვაზეთი“, „კრებული“, „შნათობი“... დაარსდა ლიტერა-ტურული წრეები, გაჩნდა კრიტიკა, რომელმაც დაჰგმო საოხუნჯო შინაარსის პიესები; კრიტიკის მეოხებით ქართუ-

ლი მწერლობა გამოცოცხლდა. გადმოთარგმნილ იქნა ევ-
როპის კლასიკოსთა ტრამები (ვილგელმ ტელი, ევგონიუ,
შემოსავლიანი ადგილი და სხ.)... იმ ხანებში, როდესაც
დრამატიული კოშიტეტი დაარსდა, ქართული თეატრის
რეპერტუარი თანდათან მდიდრდებოდა. დავით ერისთავმა
გადმოსთარგმნა ტრანგულიდან სარდას პიესა: „სამშობლო“,
რომელიც ქართველთა მამული შვილური შეგნების ერთი
ეპოქის დამამშვენებელია; აკაკიმ დასწერა „ბუტიაობა“,
„თამარ ცბიერი“, „კინტო“: პეტრე უმიკა შვილმა დასწე-
რა „მისანი“; გ. წერეთელშა „ოჯახის ბურჯი“; ა. რაფ.
ერისთავმა, „ბიძიასთან გამოხუმრება“. ამავე დროს ივანე
მაჩაბელი შეუდგა სერიოზული პიესების თარგმნას. ქართულ
ენაზე (შექსპირისას).

1878 – 1879 წ. სეზონში საძირკველი ჩაეყარა სა-
შედამთ ქართულ სცენას, რომელიც იმის შემდეგ აღასრუ-
ლებს დიდს სააღმზრდელო როლს ქართველი ერის კულ-
ტურულ განვითარებაში. ამ წლის განმავლობაში მონაწი-
ლეობას იღებდენ დაბაში: ქ. ბაბლ ხერხეულიძე-ავალი-
შვილისა, მარიამ ყიფიანი, მარიამ საფაროვი, ნატ. გაბუ-
ნია, ბაბლ კორინთელი, ნატ. ტარიელოვისა, კოტე ყი-
ფიანი, ვასო აბაშიძე, კ. მესხი, ნიკ. შიშნიაშვილი, ზაალ
მაჩაბელი.. ას. ცაგარელი და სხვა... ჩამჩურჩვნელად იყო
გრ. ყიფშიძე, აღმინისტრატორად ადამ ჩუბინაშვილი, ხო-
ლო რეჟისორად ნიკ. ავალიშვილი, ხაზინადრობას სწევ-
და ალ. როინაშვილი.

ამ დასმა მთელი წლის სეზონში 13 წარმოდგენა გა-
მართა..., წარმოდგენები სხვადასხვა ადგილს იმართებოდა.
ხალხი ბლომად დაღიოდა წარმოდგენებზე და კმაყოფი-
ლიც იყო. 1879 – 80 წლის სეზონისთვის დასის შედგე-

ნა და ხელმძღვანელობა იკისრა გიორგი მ. თუმანიშვილმა, რომლის რჩევით მსახიობნი მარკების წესით ჯილდოვ-დებოდნენ. პირველი ხარისხის მსახიობს მეტი მარკა ჰქონდა, მეორისას — ნაკლები. მთელი შემოსავალი იყოფოდა მარკების იმდენ რიცხვზე, რამდენიც მსახიობთ მიცემული ჰქონდათ. ვისაც მეტი მარკა ჰქონდა მიცემული, მეტს ნაწილს მიიღებდა შემოსავლიდან. თბილისის სათავად-აზ ნაურო, საადგილმამულო ბანკმა ვახტანგ ორბელიანის, კონსტ. მამაკაშვილის, იოსებ ანდრონიკაშვილის და გ. მ. თუმანიშვილის გავლენით პირველათ სამასი თუმანი მისცა ქართულ თეატრს შესაწევრად... 1879—1880 წლებში სათავადო კომიტეტმა მოძრავი დასი დააარსა, რომლის მეთაურად დაინიშნა კოტე ყიფიანი... ეს დასი გაგზავნილ იქმნა პროვინციებში წარმოდგენათა გასამართავად, მაგრამ მაღლე მოუხდათ მის წევრთ უთანხმოება და დასი დაიშალა. ახალი დასის შედგენა და მისი ორეული სახაზინო თეატრში, იყო სულ 27 წარმოდგენა, ერთი ამაოგანი — ქალ. გორგი, სადაც ქართულ წარმოდგენებს დიდად ხელს უმართავდა ადგილობრივი მცხოვრები ოლატონ ტუთაევი (ქართველი გრიგორიანი), 1879 წელს მთავრობამ დაამტკიცა „ქართული დრამატიული საზოგადოების“ წესდება. ქართული თეატრის საქმე ყველა მაშინდელმა ქართველმა მოღვაწემ თავის საქუთარ საქმედ დაისახა. იმ თავითვე იგრძნო ყველამ, თუ როგორ დიად კულტურულ ძალას ედგმებოდა საძირკველი... ყველას გათვალისწინებული ჰქონდა ის კეშმარიტება, რომ თეატრი ქართველებს გაევრო-პიელების გზაზე დააყენებდა; მას ზნეობრივად აღზრდიდა; გააკეთილშობილებდა, დედა ენას, სამშობლოს, მის წარ-

სულს და აშშკოს გულწრფელად შეაყვარებდა, მის ვინაობას განამტკიცებდა და სჭუკეთესო მერმისის წინასწარ გრძნობას გულში გაუღვიძებდა... მართალია ამის შემდეგ ქართული დრამატიული საზოგადოების კომიტეტი შესაფერი მხნეობით ვერ მოქმედებდა, მის წევრთა შორის უსიამოვნებანი ხდებოდა, მაგრამ ყოველ ახალ დიად საქმეს თან სდევს ერთგვარი ფეხის ბორბიკი, მარცხი, ტატით სიარული, მაგრამ დრო და ხანი მათზე გავლენას ახდენს... მას ახალ-ახალი თანამგრძნობელნი შეეძინებიან და მყობადში ხშირად მტკიცდება და მაგრდება იგი. ასეთიც კართული თეატრის საქმეც. ქართულმა დრამატიულმა საზოგადოებამ მალე მიიძინა...

1880 წლიდან 1885 წლამდის ქართული. თეატრის საქმეც მიძინებული იყო. თითო-ოროლა წარმოდგენა მის საქმეს ვერ, გამოაკეთებდა. 1886 წელში აღმიარჩიეს ახალი გამგეობა დრამატიული საზოგადოებისა, რომლის წევრებად მოხვდნენ: გ. მ. თუმანიშვილი, დ. გ. ერისთავი, იოსებ ანდრონიკაშვილი, ნიკ. ავალიშვილი, ვას. თუმანიშვილი, ვას., სულხანიშვილი... ამ ახალმა გამგეობამ აწარმოვა ქართულ წარმოდგენათა საქმე 1895 წლამდის. ბ-ნ ნიკ. ავალიშვილის აზრით, 1868 წლის ბოლოებში ბაბო ხერხეულიძის გამოსვლას ქართული თეატრის აღორძინების "საქმეში გადამშეცვეტი მნიშვნელობა ჰქონდა... იმ დროს გამოვიდა სცენაზე ეს ქართველი ქალი, როდესაც ქართველთა შორის საზოგადოდ თეატრს „პამპულაობას“ და „კომენდიანშიკობას“ და გარუცნილების ალაგს ეძახდნენ. ცოტა იყო ქართველთა შორის იმ დროს ისეთი პირი, რომელთაც გათვალისწინებული ჰქონდათ თეატრის დიადი საამლზრდელო მნიშვნელობა ერის ცხოვრებაში. ბაბო ხერ-

ხელლიქეზე გული აიცრუეს მისმა მახლობლებმა და მას გვერდით აღარ იკარებდნენ... ამ ქალმა თავი გასწირა, ეკლიან გზას დაადგა და ამით, დიდი სამსახური გაუწია ქართულ თეატრსა. იმის შემდეგ ქართველმა ქალებმა გაბედეს სცენაზე გამოსვლა... მას სამართლიანად უწოდეს ქართული თეატრის „დედა“.

1872 წლებში დიმ. ყიფიანმა თავის ახულს ელენეს ნება დართო სცენაზე გამოსულიყო და ამით მრავალი სხვა წაბალისდა. თუ კი დიმიტრი ყიფიანის ქალი სცენაზე თამაშობდა — დიმიტრი კი იმ დროს სახელმოვანი მოღვაწე იყო — მაშ სხვის ქალებს რაღა უშავდა, რომ სცენაზე გამოსულიყვნენ...

დიდი ამაგი დასრულ ქართულ თეატრს გ. მ. თუმანიშვილმა. იმისი სახელი ჩაქსოვილია ქართულ სამუდამო თეატრის საძირკველში. იმან ქართული თეატრისთვის მოქმედება 1877 წ. დაიწყო... მისი წინადადებით დაარსდა შესხიული დასი, მოწესრიგდა მათი დაჯილდოების საქმე. 1878, 1880 წლებში იგი იყო დასის საქმეთა მახლობელი გამგე... 1880 წლებში ქართველებს, ნიკ. ავალიშვილის სიტყვით, შეეძლოთ თამამად ეთქვით: თეატრი გვაქვსო. თეატრის მოყვარულმა წრემ სათეატრო საქმისთვის უმავალითო თავდადებული შრომა გასწია... მართლაც პოეტის არ იყოს. „ცუდად არ ჩაიარა განწირულმა სულისკვეთებამ“... და შეამომავლობას ხელში შერჩა კულტურულ-განვითარების სხივ-ცისკროვანი ტაძარი, როგორც სამართლიანად ეძახიან თეატრს.

XIV

მთდენად დიდ მნიშვნელოვანად მიგვაჩნია ქართული სამუდამო სცენის დასაწყისი, რომ გვერდს ვერ ავუჭყვო გ. მ. თუმანიშვილის მოგონებასაც. როგორც ვიცით, ბ-ნი თუმანიშვილი თეატრის ერთი მტკიცე ბურჯთაგანია... მის საძირკვლის ჩადგმაში დიდი ამაგი მიუძღვის, და ისტორიაც ვერ დაივიწყებს მის ლვაწლს. მის მოვონებათაგან ჩვენ ამოვკრებთ ისეთ ადგილებს, რომელნიც ყურადღების ღირსად მიგვაჩნია.

„ოდესიდან ჩამოვედი თბილისში“ — ამბობს გ. მ. თუმანიშვილი — „1875 — 1876 წლებში, ვიხილე სახაზინო სცენაზე ქართული პიესები გაბ. სუნდუკიანცისა: „ხათაბალა“ და „პეპო“. ამ პიესების როლებს საუცხოვოდ ასრულებდნენ ვ. აბაშიძე, ელენე ყიფიანი (შემდეგ ლორთქიფანიძისა), კოტ. ყიფიანი, ელ. ყაზბეგი და შიშნიაშვილი; გეგონებთათ, რომ თქვენს წინაშე სდგანან არა მოყვარენი სცენისა, არამედ გამოცდილი მსახიობნი. მათ მიერ წახალისებულმა გადავთარგმნე ქართ. ენაზე მოლიქრის პიესა: „უორუზანდენი“.. კიდევ დავბეჭდე ჩემს ალმანახში 1878 წ... იმ ხანებში პირველად გამოვიდა მ. მ. საფაროვისა, რომელსაც იმ თავითვე ეტუპოდა დიდი ნიკი მსახიობისა. მავე დროს გამოვიდა პირველად სცენაზე ა. ცაგარელი...

ქართულ წარმოდგენებს მართავდნენ საამხანაგო წევებით: შემოსავლის ნახევარი ეძლეოდათ მსახიობებს, ხოლო მეორე ნახევარი სათეატრო ქონების შექენას ხმარებოდა. ნამდვილი მსახიობები (არტისტები) ჯერ არ იყვნენ. თამაშობდნენ მოყვარენი... ქალთა შოვნა სასცენოდ სევ ძნელი იყო. საფაროვის ქალს ნათესავებმა სცენაზე

ვამოსვლის ნება იმ პირობით მისცეს, რომ ის გათხოვილიყო... გათხოვდა მართლაც მსახიობ ვასო აბაშიძეზე. ვასო აბაშიძე ამ ქორწინების მეოხებით გახდა ქართული სცენას დამამშვენებლად. ის აქამდის საღლაც პროვინციაში სოფლის მასწავლებლად იყო და კარგა ხანს ყოყმანობდა, გათხოსულიყო თუ არა სცენაზე. იმედი მოგვეცა ქორწინების შემდეგ, რომ ვასო სცენას დაუკავშირდებოდა.

მეორე ვანძი ქართული თეატრისთვის ნატო გაბუნია იყო. ის წინად სცენის მოყვარის სახით გორში თამაშობდა. საუცხოვოდ ასრულებდა კომიკურ როლებს და ვანქქმული იყო თავის სიმღერით. ძლივს დავართვევინეთ მამას მისთვის ნება ობილისის სცენაზე გამოსვლის შესახებ. ნატო გაბუნია დარჩა სიკვდილამდის ქართული თეატრის დამამშვენებლად. შემდეგში ის მეულლედ გაჰყავა მსახიობს ა. უაგარელს... მარტო მსახიობთა შოვნა არ კმარიდა. საჭირო იყო შოვნა ხელმძღვანელთა რეკისითისა და აღმინისტრატორისა. საჭირო იყო ახალი რეპერტუარის შექმნა.. რაღვან ძველმა ყველას თავი მოაბეზრა. აუცილებელი იყო შენობის გამონახვა წარმოდგენათვის. ყველა ეს საკითხები გადასწყდა 1878 1879 წლის ზამთარში. პიესათა მწერლობაში თავი ისახელა ა. უაგარელმა. რომელიც 1910 წელს გარდაიცვალა. მსახიობური ნიკი დიდი არ ჰქონდა მაინცადამაინც, მაგრამ სცენა უყვარდა ამ სიყვარულით გატაცებული იყო. მისი პიესა „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“ — საზოგადოებას ძლიერ მოეწონა და დღესაც არაა მივიწყებული. შემდეგში დასწერ ჩანვე „ხანუმა“, რომელიც უფრო ძლიერ მოეწონა საზოგადოებას, ვიდრე პირველი. ეს პიესა სომხურ ენაზედაც ვადაითარგმნა. მოეწონა საზოგადოებას მისი პიესა: „ცინ-

ბირელი“. ა. ცაგარელს არ შეუქმნია ახალი სკოლა დრა-
მატურგთა, მაგრამ ღირსეული მოწაფეა გ. ერისთავის და
გ. სუნდუკიან ცისა, მაშინდელი სომხური და ქართული დრა-
მატურგისა. ა. ცაგარლის პიესებში მშვენივრად გამოხა-
ტულია თეოილისის ცხოვრება. მისი პიესები ნელი სიცი-
ლითაა დამშვენებული (იუმორით), რამაც ქართველ ზა-
ზოგადოებას სცენა შეაყვარა. ა. ცაგარელი უმტროსი ძმა
იყო პეტროგრადის უნივერსიტეტის პროფესორის ცაგარ-
ლისა. სწავლობდა თბილისის სასულიერო სემინარიაში,
რომელსაც მალე დაანება თავი. თეატრი ვერ არჩენდა.
იძულებული იყო შესულიყო რეინის გზის სამსახურში...
ალკოგოლიანი სასმელების გადაჭარბებულმა ხმარებამ მას
უდიროოდ ბოლო მოულო.

XV

რეპერტუარის გამდიდრებაში ღიღად ხელი შევიწ-
კვეს დ. გ. ერისთავმა და ი. მაჩაბელმა. დავით გ. ერის-
თავმა, გადმოაკეთა ქართულად ფრანგთა მწერლის სარ-
დუს „Patrie“ — „სამშობლო“; რომელიც დღემდის ქარ-
თველი საზოგადოების საყვარელ პიესად ითვლება. დავით
ერისთავი ფრიად ნიკიერი, ყოველ მხრით ღრმად განვი-
თარებული ადამიანი იყო. იგი იყო პოეტი, დრამატურ-
გი, მეფელეტონე, რედაქტორი, რეჟისორი და სხ... „სამ-
შობლოს“ გარდა სთარგმნა კრილოვის (ალექსანდროვის)
პიესები. 1881 წ. დაამთავრა „სამშობლო“. როგორც ამ
პიესის, ისე სხვა პიესების დადგმაში დავ. ერისთავი თი-
თონ შველოდა არტისტებს. 1882 — 1884 წლებში იგი
გახდა ოფიციალური გაზეთის „კავკაზის“ რედაქტორად.

მოიწვია ამ „გაზეთის“ თანამშრომლებად საუკეთესო ძალები: გ. წერეთელი, ილია ხონელი (ბახტაძე), ი. მეუნარგია. პ. ოპოჩინინი და სხვანი... არასოდეს ოფიციალურს ორგანოს არ უნახავს მისი მსგავსი რედაქტორი. მისმა პიესამ „სამშობლომ“ დიდი სახელი და თანაგრძნობა მოუპოვა ქართველ სახოგადოებაში... რუსეთის ბნელმა ძალებმა, რომელთაც არა რუსთა მტრობა და დევნა ცხოვრების საგნად აქვთ დასახული, მიაქციეს იმ გარემოებას ყურადღება, რომ ქართველი ერი ესოდენ გაიტაცა „სამშობლომ“. ერთი თბილისელი რუსი-მასწავლებელი წერილებს ათავსებდა თვის რეტროგრადობით ცნობილს განეთს „Московскія Вѣдомости“-ში დავ. ერისთავის და „სამშობლო“-ს შესახებ. ხსენებული გაზეთის რედაქტურის და მომართვის რისკის განხილვისა და ხელმწიფის რისხეას მოუწოდებდა. დავ. ერისთავის თვაზე „სამშობლოს“ დაწერისთვის. განსაკუთრებით ალმეოთებული იყო რედაქტური იმის გამო, რომ „სამშობლოს“ წარმოდგენაზე ქართველებს ეროვნული დროშები გამოკინდათ სკუნაზე. რედაქტის მოწინავე წერილში ესეც კი იყო მოხსენებული: „კარგი იქნება, რომ ქართველებშა ქათავიანთი დროშები თფილისის მეცირეებს შიძეებიდნან, რომ თვისი. ცირკის ზოგიერთი სამასხაო კლაუნის მორიკულობა ას დროშებით დაამშევნოს!...“ აი სადამდის მიაღწია აღვირახ-სნილმა კადნიერებამ და უნამუსო მტრობამ ქართველთად-მი, რასაც ზოგიერთი რუსის მოხელეები აწარმოებდნენ იმ უამად ჩვენს სამშობლოში. სწორედ „სამშობლოს“ წარმოდგენის დროსთან შეერთებულია ჩვენი საკუთარეს დაკვირვებით, ის გარუსების მოძღვრება, რომლის წარმოება დაიწყეს ერთის მხრით დონდუკოვ-კორსაკოვმა, მეორე მხრით ექსარხოსმა პავლემ და მესამე მხრით მზრუნველმა იანოვსკიმ...; ამ მოძღვრებას თითვემის

ბოლომდის აწარმოებდა ჩვენი სასულიერო და საერო მთავრობა... ჩვენი კეთილის მყოფნი მიხვდნენ, რომ ქართველი ერისაძათას ძილიდან გამოირკვა, გამოფხიზლდა, თვისი ვინაობა შეიგნო და ეროვნული წარმატების გზას დაადგა... ამის მეობებით გაძლიერებულ იქნა რეპრესიები, შემავიწროებელი ზომები ქართველთა წინააღმდეგ... ხალხის უკმცყოფილებას მოჰყვა თფილ. სას. სემინარიის რექტორის მკვლელობა, დიმიტრი ყიფიანის მოწამებრივი სიკვდილი და პავლე ექსარხოსის გაძევება ჩვენი სამშობლოდან.

XVI

სხვა პირთა შორის, რომელთაც დიდი ღვაწლი მიუძლვით ქართული თეატრის წინაშე უნდა აღვნიშნოთ ზურაბ ანტონვი, რომლის შესახებ საკრიტიკო უნდები მოეპოება გ. მ. თუმანიშვილის მიერ. რუსულად დაწერილ წიგნში: „Характеристики и воспоминания“. ზურაბ ანტონოვი გორელი სომები იყო და გორელ სხვა სომებთა მსგავსად სომხური არ იცოდა... ძლიერ კარგად იცოდა ქართული ენა, რომელზედაც მრავალი პიესა დაწერა... მანამდის პქონდა გორში საწვრიმალოს სავაჭრო და გაკოტრდა... დაედო ამიროვის ვალი ორას თუმნამდის. ისე გაღარიბდა ზურაბ ანტონოვი, რომ იძულებული შეიქნა მოწყალებით ეცხოვრა. შემთხვევით გაეცნო გიორგი ერისთავის მიერ შედგენილ დასის არტისტებს... კულისების უკან ხშირად წარმოდგენებს ესწრებოდა. ტანს გლახაკის ტანისამოსი ეცვა. არტისტებს ემსახურებოდა. ისე შეიყვარა ანტონოვმა სუენა, რომ გ. ერისთავს სთხოვა დას-

ში მიეღო. ერისთავმა დიდი ყოყმანის შემდეგ შეასრულა მისი თხოვნა, მიტოლო დაში და ჯამაგირად თვეში 15 მან. დაუნიშნა. ერისთავმა მიანდო ვაჭარ სომხის როლი „გაყრა“-ში... ანტონოვმა როლი ვერ შეასრულა. ვერც შეყვარებულის როლი გამოუვიდა რიგიანად. ერისთავმა, თუმცა ძლიერ ენანებოდა ანტონოვი, განიზრახა მისი დათხოვნა: როცა ერისთავმა ეს სამწუხარო ამბავი გამოუხადა, მან პალტოს შიგნიდან ამოაძვრინა რაღაც ხელთნაწერი. თურმე ანტონოვს გადაეკეთებინა რუსულიდან საჩქაროდ, სულ ორი კვირის განმავლობაში, რაღაც ფარსი... ეს ფარსი მოეწონა გ. ერისთავს. ერისთავმა მხედველობაში მიიღო ანტონოვის სილარიბე და მისი პიესას უკანაზე გაუშვა. ხალხი აღტაცებაში მოიყვანა ამ პიესა-ფარსმა, ასე რომ სცენაზედაც კი გამოიწვიეს მისი ავტორი. ანტონოვს ისე გაეხარდა გამოწვევა, რომ დაავიწყდა თვისი დაგლეჯილი ტანისამოსი და სწორედ ასეთი ტანისამოსით გამოვარდა სცენაზე და ტაშის მკვრელ მაყურებლებს თვეს უკრავდა მაღლობის ნიშნად.

პირველმა წარმატებამ ფრთხები შეასხა ანტონოვს და იწყო წერა პიესებისა... გაუჩნდნენ მას მტრებიც, რომელთაგან ბევრი შევიწროება განიცადა. როდესაც ვორონცოვის შემდეგ ქართული თეატრის საქმე უკულმა დატრიალდა, ანტონოვი სცემდა თვის პიესებს იმ ფულით, რომელსაც კაპეიკობით აგროვებდა ნაცნობთა შორის. დაბეჭდილ წიგნებს თვით ასაღებდა ქუჩებსა და მოედნებზე... ერთხელ ანტონოვმა მიიღო ასი მან. სესხად ივ. მალხაზის ძის ანდრონიკაშვილისაგან, რომელიც თფილის სამხედრო გუბერნატორად იყო, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ ფულით ვერ ისარგებლა. ის გაჩქარებული მიდიოდა

სახლში აწინდელ საპიორნი ქუჩით და ვინ იცის რა რიგ
იხატავდა თვის მომავალს. უეცრიდ ალაყაფის კარებიდან
გამოვარდა ცოფიანი ძალლი, ეცა და ძირს დაანარცხა.
პოლიციელებმა ძლივს გამოსტაცეს ძალლს საცოდავი
ანტონოვი და წაიყვანეს მთაწმინდის ერთ ყრუ ქუჩაზე,
საღაც პატარა ოთახი ეჭირა ბინად. აქ მარტოობაში, გა-
ტეხილ საწოლზე, რომელიც ქვის იატაკზე იდგა, საშინელი
ტანჯვით ჰკვდებოდა ჯერ კიდევ ახალგაზრდა, მაგრამ მა-
ნამდის ჯანსაღი კაცი. მისი უბედურების შესახებ მისმა
ამხანაგებმა შეიტყვეს ორი კვირის შემდეგ... მისი ბინი-
დან ისმოდა საშინელი ღრიალი: საბრალოს გამოაჩნდა
წყურვილი, პირიდან ცოფი სდიოდა, იხვეწებოდა ან მიე-
ცათ დასალევად წყალი და ან მოეკლათ. ოთახი გარე-
დან დაკეტილი იყო კლიტით... კართან იდგა დარაჯი.
მაღე განუტევა სული. მისი გვამი ჩადეს ხის უბრალო
კუბოში და დაასაფლავეს პოლიციელთა და ოთხი ამხანაგი
არტისტის თანხლებით. ბევრი კომედიები ანტონოვისა და
ერთი მათგანი სამუდამოდ დაიკარგა.

ზ. ანტონოვის პიესებმა თავის დროზე დიდი სამსა-
ხური გაუწია ქართულ თეატრს. მართალია, დღეს აღარ
აქვს ჩვენს თვალში ფასი ერისთავ-ანტონოვის პიესებში
დახატულ მომენტ პირთა იმერულ კილო-მოქცეულ და
სომხის დამტვრეული ქართულით ლაპარაქს, მაგრამ მათმა
პიესებმა თეატრს პირველი თანაგრძნობა მოუპოვეს ქართ-
ველთა შორის. ანტონოვის სახელიც შეერთებულია გ.
ერისთავის სახელთან. მისი სახელიც ისე უკვდავია ქართული
თეატრის ისტორიაში, როგორც გ. ერისთავისა...

ბ. ისაებ იმედაშვილს განსვენებულმა აღალო თუ-
თავებმა გადასცა ზურაბ ანტონოვის სურათი, მაგრამ ეს

სურათი დაიკარგა იმ ჩერეკის შემდეგ, რომელიც იმის
ბინაზე ეანდარმებმა მოახდინეს, რასაც მისივე დაპატიმ-
რება მოჰყვა.

XVII

ქართული თეატრის საქმემ პროვინციათა შორის უფრო
ქუთაისში მოიკიდა ფეხი და ნაყოფი გამოიღო. ქუთაისში
წარმოდგენები ადრე დაიწყო. პირველი წარმოდგენა იქ
1865 წელს გაიმართა. წარმოდგენაში მონაწილეობა მიიღო
კ. კეკელა აგიაშვილის ასულმა, კნ. ეფემია ნიკარაძისამ,
თავ. გიორგი აგიაშვილმა, თ.. კონსტანტინე წულუკიძემ,
გრიგოლ მიზანდაროვმა და სხვ... წარმოდგინეს გ. ერის-
თავის „შემლილი“. შემდეგშიაც იმართებოდა დროვამო-
შვებით წარმოდგენები. თამაშობდნენ გ. ერისთავის და
ზ. ანტონოვის კომეტიებს... წარმოდგენებს აწარმოებდნენ
თვილისიდან დამოუკიდებლად ადგილობრივი ძალებით.
სამოცდამეათე წლებიდან (1870 წ.) ქუთაისში ქართულმა
წარმოდგენებმა უფრო წესიერი ხასიათი მიიღეს. იქ კიდევ
დაარსდა თეატრის გამგე კომიტეტი, რომლის მონაწილენი
იყვნენ: ა. კაკი, კირილე ლორთქითანიძე, ალექსი ბეს. ჭი-
ჭინაძე, პეტრე წულუკიძე, მოსე ქიქოძე, ივანე მესხი, ივ. ჯაი-
ანი, დ. ნაზაროვი... თამაშობდნენ შემდეგი ქალები: ეფრ.
ჭლდიაშვილისა, კატონიკოლაძის ასული, ანნა მესხისასული,
ეფ. ნიკარაძისა, ოლღა აბაშიძის ასული, ნინო მალრაძისა,
მაკრინე ჩიკვაიძისა, ევგ. ჩხეიძისა, განგესოვისა, მაშო
კლდიაშვილის ასული: კაცთაგან თამაშობნდენ: ანტ.
ლორთქითანიძე, დათ. ლეონიძე, მიზანდაროვი, ზაქარია
ჭეიშვილი, თეიმ. ლეუავა, ეგნატიევი, ესტ. იოსელიანი,
კოტე მარჯანიშვილი, ნიკო მალრაძე, ა. ქურციკიძე, სე.

და ოლექტ. გამრეკლები, ნესტორ ყიფიანი, ექვთ. კვიცარიძე, ვარლამ გაბიჩვაძე, ონისიმე მინდელი, ბეს. გაბაშვილი, ანდ. ლულაძე, ზოგჯერ კოტე მესხი და ვ. ჭაბიძე.

1883 წლიდან კოტე მესხი ჩაუდგა მეთაურად ქუთაისის ქართულ სკენას. ამცემ დროს ქართულ თეატრს შეეძინენ: კოტე და ეფემია მესხი და მისი ძმა დავ. მესხი. კოტე მესხმა ისეთი პიესები დადგა ქუთაისის სკენაზე, რომელნიც თფილისისაზე ჯერ არ დაღმულიყო („ურიელ აკოსტა“, „ედმონდ კინი“). 1888 წელს აშენებული ხელმწიფის მისალები პავილიონი კ. მესხმა და ნ. გამრეკელმა გადაკეთეს თეატრად და აქ იწყეს წარმოდგენათა მართვა. ამის შემდეგ თეატრის საჭმელ მაგრად მოიკიდა ჭეხი ქუთაისში.... შინაური მტრობის მეოხებით კოტე მესხის დასი დაიშალა. ამის შემდეგ შესდგა ქუთაისში ამხანაგობა წარმოდგენათა საწარმოებლად, 1895 წ. ქალაქმა შეისყიდა ხარაზოვის შენობა და გადააკეთა, აქ დაიწყეს მართვა წარმოდგენებისა ამხანაგობამ თფილის-ქუთაისის მსახიობებისამ.

1896 წლიდან 1898 წლამდის ქუთაისში წარმოდგენებს ხელმძღვანელობდა თფ. დრამ.: საზოგადოების კომისია. 1898—1899 წლებში ქუთაისში წარმოდგენათა საჭმელს აწარმოებდნენ ვლ. ალექსი-მესხიშვილი და გ. თუთბერიძე... ამის შემდეგ კი ქუთაისში ქართული თეატრის ბედი გაუმჯობესდა. ხალხი აქ დიდი ოანაგრძნობით ეკიდება მშობლიურ სკენას და დახმარებას უწევს ზნეობრივად და ქონებრივად. როგორც თფილისში იკე ქუთაისში ქართულ თეატრს ჩაედგა სამუდამო საბირკველი. თეატრი გახდა ხალხის აუკილებელ მოთხოვნილებად, მის სულიერაყვავების ტაძრად. ქართულ თეატრს ამშვენებდენ საუ-

კხოო სახელოვანი მსახიობები... გაჩნდა გვარიანად შდი-
დარი რეპერტუარი, — თვისი შემკულობა; ქართულმა თე-
ტრრმა თანაგრძნობა მოიპოვა პროფინციებში: გორში,
უელავში, ყვირილაში, ბათუმში... უკანასკნელ ქალაქში
1914 წელს ომის დაწყებამდის ქართული წარმოდგენების
აქტეს აწარმოებდა შ. დადიანი დიდის ნიჭით და ენგვრ-
კით... თეატრმა ამ ქალაქშიაც დიდი თანაგრძნობა მო-
იპოვა. დაარსდა აქ დრამატიკული საზოგადოების გამგეო-
ბაც... ქართულ თეატრს დიდი სააღმზრდელო მნიშვნე-
ლობა აქვს ყველგან, მაგრამ ეს მნიშვნელობა ორკეცია
ბათომში, რომლის ოლქშიაც სცენოვრობენ ჩვენი ღვიძლი
ძმები— ქართველი მუსულმანები. თეატრს შეუძლია მათ
შორის გააღფაძოს და გააძლიეროს ქართული ეროვნული
გრძნობა, რომელიც ბოლო დრომდის მათ შორის სუსტი
იყო; მათში მოიპოვება მხოლოდ მცირე რიცხვი შეგნე-
ბული მამულის შვილებისა, რომელთაც ლრმად ესმით თვისი
ვინაობა.

o) h̄t̄ȳn̄b̄ōḡōb̄m̄n̄t̄:

2029525

30

Հեղացու 6. Եղիշել ապօնութեան և այս այս առջ Արքունի և
առօնական է առօնական սահմանադրութեան և առօն այս
առջ առօնական ապօնութեան և այս առջ առջուն